# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 26 დეკემბერი 2002 №247 (1769) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხომ არ დაგველია?

## საქართველოს ნაკრებს ადრე მეტი ამხანაგი ჰყავდა

არცთუ ძველი ამბავია: ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებში მეორედ რომ დანიშნეს და ლუქსემბურგი დაამარცხა, აქა-იქ სიხარულით შეიკუნტრუშეს, ახლა კი ეშველება ჩვენს ბედკრულ ეროვნულ გუნდსო.

აგერ, ჩვენ და აგერ, ფეხბურთის ფედერაცია, თავისი პრეზიდენტით, ნაკრებითა და მწვრთნელით. აგერ, ახალი წელიც და შედეგების შეჯამების დროც.

წლეულს საქართველოს ნაკრებმა ოთხნახევარი მატჩი ჩაატარა — ნაკლები, ვიდრე თუნდაც ანდორამ, აზერბაიჯანმა და მალტამ. კიდევ კარგი, სამხრეთაფრიკელები აქეთ შეგვეხვეწნენ, უკრაინელებისა ამხანაგური გვემართა, ერთნახევარი თამაში კი ოფიციალური იყო, თორემ ამდენიც არ მოგროვდებოდა. შედეგი კი ასეთია: ერთი მოგება, სამი მარცხი, 6 გატანილი და ათიც გაშვებული ბურთი.

ევებ რაოდენობას შევეშვათ და ხარისხზე ვილაპარაკოთ? ვილაპარაკოთ, მაგრამ რა არის სათქმელი? თურქული და შვეიცარიული სირცხვილი? იმხელა სირცხვილი იყო, ფედერაციის პრეზიდენტიც იძულებული გახდა, ეღიარებინა, ამ ნაკრებს პერსპექტივა არ აქვსო.

მაგრამ რაც გინდა, რამდენიმე თვე გავიდა და იმავ პრეზიდენტისგან შეცვლილი ჯერ არაფერი დაგვინახავს. ძველებური კი კვლავ ვნახეთ — საქართველოს ნაკრები რუსეთთან ნახევარ მატჩში.

რუსთა კოჭის მგორებელი ქართველი საფეხბურთო ჩინოვნიკებიც ვნახეთ. ბოლო იმის, რისი ნახვაც გვინდა, ალბათ კარგა ხანს ვერ ვეღირსებით — ჩივაძე ნაკრებში ვერაფერს შეცვლის, რადგან მწვრთნელობისა რაც ილოდა, გუნდს უკვე ასწავლა; ფედერაცია ჩივაძეს არ შეცვლის, რადგან პრინციპულ მწვრთნელს საქმიან მოთხოვნებს ვერ შეუსრულებს; ჩივაძე კი არ იტყვის, 4 მატჩი ძალიან ცოტაა, ნაკრებს პრაქტიკა აკლიაო, რადგან თავად არის ფედერაციის დიდმოხელე. ერთი სიტყვით, ვიქნებით ასე.

წინასაახალწლო განწყობა ოდნავ თუ გაგიფუჭდათ, ქართული ფეხბურთის დიადი წარსულისა და რუსეთის ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლის სადღეგრძელო მიირთვით და ალავერდი ფედერაციასთან გადადით.



# ჯანაშიასთვის ცაქარიასი შუშისაა, ცაქარიასისთვის ჯანაშია ჩახსნილი ვაგონია

## მწვრთნელს ვინ ჰკითხავს, ვჭირდები თუ არა გუნდს...



...ფეხბურთელი ასეთ რამეს რომ იტყვის, მის გუნდში წესრიგი არ უნდა იყოს. ნაღდად ვერ ვიხსენებთ, უცხოეთში ვინმეს ასე ელაპარაკოს — ცხადია, წესიერი ქვეყნის წესიერ გუნდებს ვგულისხმობთ, თორემ სადღაც, საქართველოსნაირ ქვეყნებში ევებ უარესებსაც ამბობენ, მაგრამ ჩვენ ამით რა?

თავში ნახსენები სიტყვები ზაზა ჯანაშიამ თქვა „ლოკომოტივის" მწვრთნელ ლუის ცაკარიასზე.

ცხადია, რომ ჯანაშია პერუელზე ნაწყენია, ცაკარიასმა მას ზარმაცი და უდისციპლინო უწოდა და დაამატა, ასეთი კაცი გუნდს არ სჭირდებაო.

თუ გახსოვთ, თავის დროზე იოჰან ბოსკამპმაც ამავე მიზეზით დაითხოვა ჯანაშია ნაკრებიდან, სხვა მსგავსი შემთხვევებიც ყოფილა და ამიტომ ცაკარიასისეული შეფასება არც გვაკვირვებს და მცდარიც არ უნდა იყოს. ზაზა ჯანაშია ოდითგან ჭირვეულ ფეხბურთელადაა ცნობილი.

უცნაური სხვა რამ გახლავთ. ჯანაშია კლუბის პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძეს ისეთი რიხით იმოწმებს — ჩემი გაშვება არც უფიქრიაო -- ჩანს, ეგრეც არის. მაგრამ დახეთ, ჩხაიძე ცაკარიასისგან ჩემპიონობას ელის, შემადგენლობის თავის ჭკუაზე შერჩევას კი არ ანებებს. და თუ ასე არ არის, მალე გამოჩნდება.



# ბენდელას თასი 2002

# საგოლე და სამაისო

## ჩემპიონს საბურთალოზე ნუღარ ეძებთ

**საბურთალო 3:1 თბილისი**

1:0 კუხრაშვილი, 2:0, 3:0 დგებუაძე, 3:1 გაგუა (პენ.)

**ნაძალადევი 5:5 თემქა**

1:0 მიზანდარი, 1:1, 1:2 დაუშვილი, 2:2 მეტრეველი, 2:3 ბაჯელიძე, 3:3 მოსულიშვილი, 3:4 დაუშვილი, 3:5 სეფერთელაძე, 4:5 ირემაშვილი, 5:5 მიზანდარი

**მაისი 2:0 ზოოვეტი**

1:0 ბურდული, 2:0 ჯაკობია

**დინამო 2 3:7 თელავი**

1:0 დვალი, 2:0 მუმლაძე, 2:1 ბაქრაძე, 3:1 გრიგორიევი, 3:2 კობაიძე, 3:3 ბაქრაძე, 3:4 თალაკვაძე, 3:5 დვალაძე, 3:6 გამცემლიძე, 3:7 კობაიძე

**გორდა 1:6 უნივერსიტეტი**

0:1 ათანელაშვილი, 0:2, 0:3 ჩალაძე, 0:4 კორძაძე, 0:5 ჩალაძე, 0:6 ტყებუჩავა, 1:6 შიოშვილი

**ლოკომოტივი 4:4 ჩიხურა**

0:1 ლომინაშვილი, 1:1 კვარაცხელია, 2:1 გილაური, 3:1 ხარაიშვილი (ს. კ.), 3:2 ა. კაკაშვილი, 3:3 ლომინაშვილი, 4:3 კვარაცხელია, 4:4 ლომინაშვილი

გოლების წვიმა იყო გუშინ სპორტის სასახლეში. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ზურგმოშიშვლებულმა გუნდებმა გაილაღეს და ერთურთის კარში პანტაპუნტით შეყარეს ბურთები. დღის ერთადერთი „მშრალი“ გუნდი „ზოოვეტი“ გამოდგა, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა „მაისის“ კარის დარაჯ ზურაბ ბათიაშვილს.

მაისელთაგან კი ლადო ბურდულმა და ლაშა ჯაკობიამ იყოჩაღეს. ლაშამ სულაც თავისი მეცხრე გოლი გაიტანა „ბენდელას თასზე“ და ბომბარდირთა დავასაც ერთპიროვნულად ლიდერობს.

სამაგიეროდ, უგოლო სერიას რუსთაველებმა დააღწიეს თავი. არა, „გორდამ“ ამჯერადაც დიდი ანგარიშით წააგო. უმაღლესლიგელებს წინა ორ ტურში გოლიც კი არ ჰქონდათ გატანილი და გუშინ ახალგაზრდა შიოშვილმა გატეხა ნავსი. „გორდას“ დამარცხებით კი „უნივერსიტეტმა“ მეოთხედფინალში დაიგულა თავი.

საფრთხეში ჩაიგდო თავი „თბილისმა“. უმოტივაციოდ დარჩენილმა „საბურთალომ“ ახალგაზრდული შემადგენლობით დაჯაბნა მეტოქე. საბოლოოდ, „თბილისმა“ მაინც გააღწია მეოთხედფინალში, თუმცა ამისთვის „ლოკომოტივი“ — „ჩიხურას“ ჯახისთვის თვალყურის დევნება დასჭირდა.

ეს მატჩი კი სხვათაგან უთუოდ გამორჩეული გამოდგა — დაძაბული, თვალსასეირო და, რაც მთავარია, გოლებით დახუნძლული.

„ჩიხურას“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებიც ამხნევებდნენ და გიორგი ასანიძეც არ მოსცილებია წუთით თავისიანებს. სპარტაკ არჩვაძის შეგირდებმაც მატჩი რიხით დაიწყეს და მალე ლომინაშვილის გოლით დაწინაურდნენ კიდეც. თუმცა მერე გამოცდილმა რკინიგზელებმა იგდეს ხელთ უპირატესობა და ზედიზედ სამი გოლი მიართვეს მეტოქეს. თითქოს ყველაფერი ცხადი გახდა, მაგრამ „ჩიხურამ“ მაინც შეძლო თამაშის „ამოქაჩვა“. საბოლოოდ, გუნდები 4:4-ით დაშორდნენ ერთმანეთს.

მძიმედ აგრძელებს ტურნირს „ნაძალადევი“. მინი ფეხბურთისთვის არც თუ ურიგო შემადგენლობის მიუხედავად, „ნაძალადევს“ ძალიან უჭირს მოგება, ასე იყო გუშინ „თემქასთან“ მატჩშიც. ვასილ მაისურაძის გუნდი ანდრო მიზანდარის გოლით კი დაწინაურდა, მაგრამ მოგვიანებით გასათანაბრებლად გაუხდა საქმე. საბოლოოდ, შეხვედრას წერტილი ისევ მიზანდარმა დაუსვა.

არ გაუმართლა „თელავს“. ჯგუფში მესამე ადგილზე გასულ კახელებს სხვა მესამეადგილოსნებთან შედარებით უარესი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ და ტურნირსაც გამოეთიშნენ. არადა, დიდი შანსი იყო „თელავის“ როლში „დინამო 2“ ყოფილიყო. ახალგაზრდა დინამოელებმა გასატანი თავიდანვე გაიტანეს და მეორე ტაიმსაც ორბურთიანი უპირატესობით შეხვდნენ, თუმცა მერე გამოცდილებამ თავისი გააკეთა და „თელავმაც“ 7:3 მოიგო.

**ბაჩა ზალამბერიძე**



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

ვეტერინარებმა „მაისის“ მეკარე ზურაბ ბათიაშვილს ვერაფერი დააკლეს

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნაძალადევი | 3 | 1 | 2 | 0 | 9:7 | 5 |
| თემქა | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| თელავი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 4 |
| დინამო 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 6:11 | 1 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 2 | 0 | 10:7 | 5 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ჩიხურა | 3 | 1 | 1 | 1 | 9:7 | 4 |
| საბურთალო | 3 | 1 | 0 | 2 | 7:11 | 3 |

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაისი | 3 | 2 | 1 | 0 | 13:2 | 7 |
| ზოოვეტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 10:6 | 4 |
| გორდა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:17 | 0 |

**მეოთხედფინალი**

დღეს

**მაისი — ჩიხურა**

**თემქა — თბილისი**

**ნაძალადევი — ზოოვეტი**

**ლოკომოტივი — უნივერსიტეტი**

**ბავშვთა ტურნირი**

მეოთხედფინალი

ოლიმპი 1 — ნორჩი დინამოელი 2:3; შევარდენი — ბათუმი 1:0; ხობი — საბურთალო 1 2:1; სპარტაკი — ოლიმპი 2 0:2 დ.დ. (0:0)

# მწვრთნელი მე რას დამაკლებს

*თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი ლუის ცაკარიასი ზაზა ჯანაშიას გუნდიდან რომ ათავისუფლებდა, მოსალაპარაკებლად კლუბის პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძესთან უშვებდა, თურმე ამ დროს თავად ფეხბურთელი გულში ხითხითებდა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, როცა ჯანაშიას მოსკოვში დავუკავშირდით და „ლოკომოტივიდან“ ნასვლაგაგდებაზე ვკითხეთ, პასუხმა უნებურად ასე გვაფიქრებინა*



გურამ ფოლენჯაშვილის ფოტო

ააწევინებს ზაზა ჯანაშია ლუის ცაკარიასს ხელებს?



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

## ცაკარიასის დაწუნებული ჯანაშია ჩხაიძემ მოსკოვში გაუშვა და კონტრაქტით დაიბრუნებს

**პერუელმა** ლუის ცაკარიასმა, ალბათ გახსოვთ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების მერე თქვა, ჯანაშია უდისციპლინო, ზარმაცი ფეხბურთელია და ის გუნდს არ სჭირდებაო. ცაკარიასმა ფეხბურთელის მომავალის გარკვევა ჩხაიძეს გადაულოცა. კლუბის პრეზიდენტიც ჯანაშიას შეხვდა კიდეც და გუნდშიც დაიტოვა. ჩხაიძისგან შეგულიანებული ზაზა კი ორიოდ დღის წინ მოსკოვს გაფრინდა. მას რუსეთის ჩემპიონ „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი უმთავრდება და უახლოეს მომავალში, ალბათ, თბილისელი რკინიგზელების საკუთრება გახდება.

— მოსკოვის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას ჯერ არ შევხვედრივარ. თუმც მათთან სალაპარაკო და გასარჩევი ბევრიც არაფერი მაქვს — გვითხრა ჯანაშიამ — რუსებთან ჩემი კონტრაქტის ვადა მიმთავრდება და ახლა ამ კლუბისგან გათავისუფლების ფურცელს ველი, ავიღებ და თბილისში ჩამოვალ.

— კონტრაქტის გაგრძელება რომ შემოგთავაზონ?

— მოსკოვის „ლოკომოტივში“ ჩემი ფეხბურთი, მგონი, დამთავრდა. ვფიქრობ, რუსები კონტრაქტის გაგრძელებას არ მთხოვენ.

— თბილისის „ლოკომოტივს“ დაუბრუნდები?

— დავუბრუნდები, რა თქმა უნდა.

— ასე დარწმუნებული რატომ ხარ?

— რატომ არ უნდა ვიყო დარწმუნებული?

— მწვრთნელმა ცაკარიასმა დაგიწუნა, „ლოკომოტივს“ ჯანაშია აღარ სჭირდებაო...

— ცაკარიასს ვინ ჰკითხავს, ვჭირდები თუ არა „ლოკომოტივს“.

— მწვრთნელი ის არის...

— მან ბევრი დეტალი არ იცის.

— კონკრეტულად?

— კონკრეტულად ის, რომ ვარ და ვიქნები „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი.

— მოსკოველებთან კონტრაქტი გიმთავრდება, ჩავთვალოთ, რომ ახალს თბილისელებთან გააფორმებ?

— ალბათ, ასე იქნება.

— უცხოური კლუბები აღარ გიწვევენ?

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

— თბილისში როდის ჩამოხვალ?

— ნაახალწლევს, 2-3 იანვარს. ვარჯიშს კი გუნდთან ერთად 9-ში განვაახლებ.

— ერთი სიტყვით, აკაკი ჩხაიძემ დაგტოვა „ლოკომოტივში“...

— მას ჩემი გაშვება არც უფიქრია.

**ქობა ინასარიძე**

# 90 პროცენტით ალანიელი

## მენთეშაშვილი ძოძუაშვილის ზარს ელის

**ლატვიური „სკონტოს“** ქართველი ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი დღე-დღეზე ვლადიკავკაზის „ალანიას“ მაისურას მოირგებს. შეთანხმება ჯერაც არაა მიღწეული, თუმც როგორც თავად ზურამ გვითხრა, 90 პროცენტით ალანიელია.

— დღეს რევაზ ძოძუაშვილის ზარს ველოდები და, შესაძლოა, უმალ „ალანიას“ შევუერთდე შეკრებაზე. კარგად იცით, რომ ამ კლუბში გადასვლაზე დაუფიქრებლად დავთანხმდი. ახლა მთავარია, კლუბებმა მოახერხონ საერთო ენის გამონახვა — გვითხრა გუშინ ზურაბ მენთეშაშვილმა.

ამ ტრანსფერში კი მთავარი სიტყვა რიგის „სკონტოს“ ეკუთვნის, რომელთანაც ჩვენებურს კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ლატვიელებიც ცხადია, ქართველ ფეხბურთელს ჩალის ფასად ვერ ელევიან და ოსებისგან რაც შეიძლება მეტის მიღებას ცდილობენ.

ამასობაში რევაზ ძოძუაშვილი გუნდის დაკომპლექტებას იწყებს და მენთეშაშვილიც მისი გეგმების ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ მოიაზრება. არადა, „ალანიას“ ახლახან მოქიშპეც გამოუჩნდა — მენთეშაშვილის გადაბირება როსტოვის „როსტსელმაშმაც“ მოიწადინა.

— „როსტსელმაშში“ წამსვლელი ნაღდად არ ვარ. თუ „ალანიას“ ვარიანტი არ გამოვიდა, რაც ძნელად სავარაუდოა, ალბათ ისევ „სკონტოში“ დავრჩები. როსტოვის ვარიანტი არანაირად არ მხიბლავს — ასეთია თავად მენთეშაშვილის აზრი.

**ბაჩა ზალამბერიძე**



საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
ზევსი
Zeus
აქსესუარები
Master
ნაახალწლოდ ფასდაკლებები!
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

# შინდისფერთა ბინდისფერი წელიწადი

## ძალიან ცოტა, ძალიან ცუდი

*ინტრიგის და იმედგაცრუების – ზოგადად ასე შეიძლება შევაფასოთ 2002 წელი საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის.*

*მატჩების ასეთი მწირი მარაგი „შინდისფერ ლეგიონს“ 1993 წლის შემდეგ არ ჰქონია. ოთხნახევარი შეხვედრა გამართა ჩივაძის სამწყსომ ზოგადქართულ ავბედით 2002-ში – ერთი მოგება, სამი მარცხი, 6 გატანილი და 10 გაშვებული გოლი. ამ მშრალი ციფრების მიღმა კი ბევრი სატკივარი და პრობლემა ჩანს, რომელთა გადაჭრის იმედი 2003-ში უნდა გავიყოლოთ. ეგაა, იმედი და ქართული ფეხბურთი კარგა ხანია, ვერ თავსდება ერთმანეთთან*



ალექსანდრე ჩივაძე

**ქართული ფეხბურთის** სანაკრებო წელზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ფეხბურთის ფედერაციასაც, მით უფრო, რომ წლეულს ეროვნულმა ნაკრებმა ფედერაციის ნაკრებად უფრო დაგვამახსოვრა თავი. სიტყვამ მოიტანა და, ფედერაციის როლი არცთუ უმნიშვნელოა სანაკრებო კრახში.

ზემოთაც ვთქვით, რუსეთთან ჩაშლილი მატჩის ჩაუთვლელად ნაკრებმა ოთხად ოთხი შეხვედრა გამართა, აქედან ერთი ოფიციალური, დანარჩენი ამხანაგური. ასეთი მარაგით რაიმე წარმატებაზე ფიქრი სასაცილო ჩანს. ცნობისთვის, აზერბაიჯანმა და მალტამ ჩვენზე 3-3 მატჩით მეტი ითამაშეს. თვით ჯუჯა ანდორასაც კი წლეულს 5 სანაკრებო შეხვედრა მოუგროვებია. აი, ასეთი „ბარგის“ ნაკრების პატრონი ფედერაცია ისახავდა (მგონი დღესაც ამ აზრზეა) მიზნად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის გავლას. ის სამი ამხანაგური მატჩიც, „შინდისფერებმა“ წლეულს რომ გამართეს, არამც და არამც არ არის სფფ-ის მიერ გარიგებულ-შეთანხმებული. მუნდიალზე გასულმა სამხრეთ აფრიკამ რატომღაც სლოვენიური ფეხბურთის მსგავსება დაინახა ჩვენში და ამიტომაც შეიგულა ქართველები სპარინგ-მეტოქედ. უკრაინასთან „ამხანაგური ვალი“ გვქონდა დასაბრუნებელი და კიევში გამართული მატჩიც მასპინძელთა ინციატივას მოჰყვა, მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა თურქეთმა სფფ-ის ნაღვაწი წყალში ჩაუყარა და სიტყვა გაატეხინა საამხანაგოდ შეგულებულ ესტონეთთან. აგვისტოს სიცხის მიუხედავად, ფედერაციაში სწორი დასკვნა გააკეთეს — თურქეთთან თამაში უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე ესტონეთთან და ასე გამოცხვა თურქეთ — საქართველოს მატჩი. მოკლედ, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მთელი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ორ თვეს იბურთავა — 20-დღიან ინტერვალში სამხრეთ აფრიკა-უკრაინასთან და ორკვირიან შუალედში თურქეთ-შვეიცარიასთან. ეს არის სამარცხვინო ფაქტი იმის გათვალისწინებით, რა მიზანსაც ისახავენ სფფ-ის და ნაკრების ხელმძღვანელები მიმდინარე შესარჩევ ციკლში.

ცნობისთვის, ნაკრებმა შარშან და შარშანწინ 10-10 მატჩი ჩაატარა. 1999 წელს — 8, იქამდე 11 და ასეთ დროსაც ყოველთვის იგრძნობოდა, რომ გუნდს სათამაშო პრაქტიკა აკლდა.

რა იღონა ფედერაციამ, რომ ჩივაძის გუნდს შეკრება-გამოცდის უფრო მეტი საშუალება ჰქონოდა? პრაქტიკულად არაფერი. სფფ ძირითადად კლუბების მიერ უცხოელ ფეხბურთელთათვის დაწესებულ ლიმიტზე წუწუნებდა და მწირი პრაქტიკის ერთ-ერთ საბაბად ეს ფაქტორი მოჰყავდა.

გვეთამაშა ბატონო და, ნუ მოიწვევდნენ ყველა მატჩში ლეგიონერებს. გამოეცადათ ახალბედები, ბოლოსდა რომ დაიწყეს „სისხლის გამოცვლაზე“ საუბარი. სათქმელსაც მივადექით. გავიხსენოთ, რამდენ ფეხბურთელს ჰქონდა წლეულს დებიუტი? მხოლოდ და მხოლოდ ორს — ამისულაშვილსა და დარასელიას და ეს ორიც ნაღდ საქმეში (ოფიციალურ მატჩში) არ გამოუყენებია ჩივაძეს. მსოფლიოს ჩემპიონებმა წლეულს 32 დებიუტანტი ნახეს საქმეში.

აი, კიდევ ერთი გარემოება, რომელიც სანაკრებო კრახს შემდგომშიც განაპირობებს. ბოდიშს ვიხდით, ისევ ბრაზილიას უნდა შევადაროთ ჩვენი გუნდი. ნახევარი სამხრეთ ამერიკა ფელიპე სკოლარსა და ვირს შორის განსხვავებას რომ ვერ ხედავდა, „დიდმა ფილმა“ მუნდიალამდე 84 ფეხბურთელი გამოსცადა სანაკრებო მატჩებისას. ჩივაძემ კი სულ რაღაც 25 კაცზე გადაატარა მთელი წელი (ვგულისხმობთ ორ თვეს).

ფედერაცია რომ დაჟანგულ რელსებზე იდგა, წლის დასაწყისშივე გამოჩნდა. ლუქსემბურგული ტრიუმფით ნაკრებს დაბრუნებული და უმოტივაციო მატჩებში წაუგებელ ალექსანდრე ჩივაძეს სფფ-მ კვლავაც ნდობა გამოუცხადა და უცხოელი მწვრთნელის ალტერნატივა „დინამოსაც“ მიამაგრა, თუმც ათგზის ჩემპიონ კლუბში ჩივაძის ფუნქცია ბევრისთვის დღემდე გაუგებარი დარჩა. მერე 25 იანვარიც მოახლოვდა — ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრის დღე. „შესაძლოა, გამარჯვების მეტი შანსი რუსეთსა და ირლანდიას ჰქონდეთ, მაგრამ ეს ჩვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავს“ — თქვა პორტუგალიური ცერემონიალის შემდეგ ჩივაძემ და ესეც დააყოლა — „კალენდარზე 15 თებერვალს მოვილაპარაკებთ დუბლინში. ვფიქრობ, შეთანხმებაზე შეხვედრის ადგილი არ იმოქმედებს. ჩვენი მიზანი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაა“. არა მგონია, ნაადრევი იყოს, ისეთი სიტყვებია, თითზე კბენად ღირს.

თებერვალიც დადგა და საკალენდარო სკანდალიც ატყდა. ყოველივეს რომ ცუდი ბოლო ექნებოდა, იმთავითვე გამოჩნდა — ფედერაციამ რუსებს ჩაუჯინა თვითმფრინავში დუბლინს მიმავალი ჩივაძე. ჩოლარიას განმარტება ზღაპარს უფრო ჰგავდა, აქაოდა, სავიზო პრობლემის მოგვარებას ვერ ვასწრებთო. არადა, ფედერაციის გენერალური მდივანი ამას რომ ამბობდა, დუბლინურ შეხვედრამდე 18 დღე იყო დარჩენილი. ყველაზე სავალალო ის იყო, რომ საქართველო კალენდრის შედგენასთან დაკავშირებით უპოზიციო აღმოჩნდა. ამის ფონზე გულის გამხეთქავი ჩანდა ირლანდიელთა მწვრთნელის, მიკ მაკარტის ულტიმატუმი — ჩვენი მიზანია, რუსებს სექტემბერში ვეთამაშოთ და უეჭველად მოსკოვშიო. ისე ყველაფერი აგიხდეთ. მაკარტიმ თავისი გაიტანა, საქართველომ კი რუსების დაკრულზე იცეკვა. მოკლედ, ჩივაძემ პირველი ბრძოლა სექტემბრამდე კარგა ხნით ადრე წააგო. იქვე სფფ-ის გენერალური მდივნისგან კიდევ ერთი სიბრძნეც მოვისმინეთ — თურმე კალენდარი არახელსაყრელი სულაც არ ყოფილა, რადგან ფედერაცია რუსეთს და ალბანეთს ერთნაირ მეტოქეებად მიიჩნევს. სხვათა შორის, ნაკრების წევრთა მაშინდელი კომენტარებიც მოულოდნელი იყო, მხოლოდ მიხეილ ყაველაშვილმა დაიწუნა კალენდარი. „ჯობდა, შესარჩევი ეტაპი თბილისში დაგვემთავრებინა. სექტემბერში შვეიცარიასთან თამაშიც არცთუ ხელსაყრელი პერსპექტივაა, რადგან ამ დროს იქ გახურებული ჩემპიონატია და ფეხბურთელები სათამაშო ფორმის პიკში იმყოფებიან“ — თქვა ყაველაშვილმა.

მარტი ოჯახური ტრაგედიით გამწარებული კახა კალაძის ულტიმატუმით დაიწყო. გატაცებული ძმა მომიძებნეთ, თორემ საქართველოს ნაკრებში ბურთის გამგორებელიც არ ვარო, თქვა მილანელმა. საქართველო მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის დაპირებით შეეცადა ფეხბურთელის დამშვიდებას. ლევანს აუცილებლად ვიპოვითო — თქვა კობა ნარჩემაშვილმა და ალბათ დღემდე ცდილობს დაპირებულის შესრულებას.

თვის ბოლოს „ბაფანა-ბაფანა“ გვესტუმრა. ჩივაძემ 3-5-2 სქემით გააწყო გუნდი. შეტევაში იაშვილს დემეტრაძე შეუწყვილა. მასპინძლებმა მართლაც რიგიანად იბურთავეს და ხმაურიანი 4:1-იც გამოჭედეს მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილესთან, რასაც ტრადიციული ქართული ეიფორია მოჰყვა. ფედერაცია ნაკრების პროგრესზე ალაპარაკდა და ბევრმაც ირწმუნა, რომ ამ გუნდით წარმატების მიღწევა შესაძლებელი იყო. სამ კვირაში იმედის ნაპერწკალი განელდა. მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში სათადარიგოებით მოთამაშე უკრაინამ უპრობლემოდ მოუგო საქართველოს. ეფექტური იყო ბურდულის საპასუხო გოლი, მაგრამ ამ თამაშიდან უფრო ის დაგვამახსოვრდა, რომ სტუმრებმა რიგიანად ორჯერ გაიწიეს მეტოქის კარისკენ. კიევურმა მატჩმა ჩივაძის გუნდის ბევრი ხარვეზი გამოაჩინა. ჯამარაულმა და ქინქლაძემ საყრდენობა ვერ გაწიეს. ჩვენები ფლანგებზეც ჩაფლავდნენ და, რაც ყველაზე საგანგაშო იყო, ერთი თავით ჩამორჩნენ სისწრაფეში მოწინააღმდეგეს. სხვათა შორის, ის შეხვედრა ჩივაძემ ნოვატორული 5-3-2 სქემით დაიწყო, მაგრამ პოზიციურად ბრძოლაწაგებულმა ქართველებმა მხოლოდ სადებიუტო 15 წუთის შეინარჩუნეს სათამაშო დისციპლინა.

აპრილში დავით პეტრიაშვილმა სფფ-ის პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა, რასაც ჟორდანიამ თანამშრომელთა დათხოვნა მოაყოლა, თუმც ფედერაცია სამუშაო რიტმს მალევე დაუბრუნდა და 24 აგვისტომდე ქართული ფეხბურთი საარჩევნო ციებ-ცხელების ამარა დარჩა. ხელმეორედ გაპრეზიდენტებამდე ჟორდანიამ „ქართული ფეხბურთის სახლის“ ხმაურიანი პრეზენტაცია მოაწყო, სფფ-ის ახალ ოფისს რამდენიმე დღეში ტყვიები დაახალეს.

აგვისტოშივე თურქეთმა ალიყური აჭამა ჩივაძის გუნდს. ქართველებს ფეხბურთი არ სცოდნიათ... ასეთი სუსტი ნაკრები არ გვინახავს... ჩივაძის გუნდს მოედნის გარეთაც პრობლემები აქვს... ფრაზები რომელიც თურქეთ — საქართველომ მოიყოლა. „შინდისფერთა“ მდგომარეობა მართლაც საგანგაშო იყო, რადგან შვეიცარიამდე ორიოდე კვირა რჩებოდა, ნაკრებში შექმნილ სიტუაციაზე პასუხისმგებელი კი არავინ ჩანდა. ფედერაცია და მისი ნაკრები შვეიცარიულ სირცხვილს უახლოვდებოდა...



8 სექტემბერი. შვეიცარია — საქართველო 4:1

ჟორდანიამ ბაზელში განადგურების შემდეგღა აიმაღლა ხმა, თუმც დღევანდელი გადასახედიდან ეს სიტყვებიც უნაყოფო ჩანს. „გუნდში ბევრი რამ არის შესაცვლელი, ასე გაგრძელება არ შეიძლება. თუ ცვლილებები არ მოხდა, ჩვენს ნაკრებს პერსპექტივა არ ექნება“ — განაცხადა შვეიცარიული ყველივით დაჩვრეტილი ნაკრების პატრონმა, თუმც ამის შემდეგ მარტო ჩვენთან რომ ხდება, ისეთი პარადოქსი შეგვრჩა ხელთ, ჩივაძე კვლავაც მწვრთნელად დარჩა და არც არაფერი შეცვლილა. ჩივაძე-მწვრთნელს არც არასდროს შეუცვლია რამე. რუსეთს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ-პატრიოტული შემახილებით გაბრუებული ნაკრები დავახვედრეთ.

საქართველოს ნაკრების წლის ბოლო თამაში ნახევართამაში გამოდგა... „ლოკომოტივის“ ჩაბნელებიდან დღემდე ბევრი ამბობს, რომ ჩვენები კარგად თამაშობდნენ და მატჩი რომ გაგრძელებულიყო, უკეთესი ფსიქოლოგიური განწყობა გვექნებოდა მოსაგებად. ჯერ ერთი, მატჩი ჩაიშალა და კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა, რომ გაგრძელებულიყო, მეორეც, ჩივაძის გუნდი სულაც არ თამაშობდა გამორჩეულად. ფეხბურთელთა მოქმედებაში უჩვეულო არაფერი იყო, ირჯებოდნენ ისე, როგორც აქამდე — პირველი გოლის გაშვებამდე სჩვეოდათ. მეტიც, ტაიმის შუაწელიდან რუსებმა ისევე სრულად დაიკავეს მოედნის ცენტრი, როგორც თბილისში ჩამოსულებმა „შერატონ-მეტეხის“ მეექვსე სართული. ამიტომ რუსთა გოლი უფრო იყო დროის ამბავი, მაგრამ მატჩი ჩაიშალა და ეგებ ჩვენთვის საბედნიეროდაც. თუმც ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ფედერაციამ კიდევ ერთხელ გააგორა რუსულად კოჭი და შედეგად 30 აპრილს გადათამაშება შეგვრჩა ხელთ.

შვეიცარიული სირცხვილის შემდეგ ჩივაძეს პირველი მამხილეც გამოუჩნდა. ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავსო, თქვა გოგა გახოკიძემ და ნაღდ მწვრთნელთა საქმიანობის სანახავად ჩივაძეს ჰოლანდიაში ჩასვლა ურჩია. გახოკიძის კრიტიკა ჩივაძემ უპასუხოდ დატოვა და არც აღმოდებული კერის ჩაქრობაზე უზრუნია, რაც გვაფიქრებინებს, რომ სანაკრებო დისციპლინის საქმე კვლავაც სანატრელი იქნება ქართველი ქომაგისთვის.

ასეთი იყო 2002 წელი სფფ-ისთვის და საქართველოს ნაკრებისთვის. დასკვნა ერთია, ფედერაციას სურვილი და ხელის განძრევა მართებს მდგომარეობის შესაცვლელად. შესარჩევი ეტაპი გრძელდება, ნორმალურ ვითარებაში კი ერთი თამაშის წამგები გუნდი სულაც არ არის უიმედო მდგომარეობაში. ამბიციას საქმე სჭირდება, საქმეს — შესრულება. საკეთებელი კი მართლაც ბევრია ამ წყალწაღებულ ქვეყანაში.

**ბაატა ქვანტალიანი**



27 მარტი. საქართველო — სამხრეთ აფრიკა 4:1



21 აგვისტო. თურქეთი — საქართველო 3:0



# წადით!

## სახალხო მოძრაობა: „გადავარჩინოთ ბარსელონა გასპარ-ვან გაალისგან"

## ლათინთმოძულე ჰოლანდიელის ახალი მსხვერპლი

# იყიდება რიკელმე!

*გუშინ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ „ბარსელონა" ხუან რომან რიკელმეს გაყიდვას აპირებს. ერთი მხრივ უცნაურია, რადგან არგენტინელი კატალონიელებმა სულ რამდენიმე თვის წინ იყიდეს და ამ ტრანსფერს წინ ხანგრძლივი მოლაპარაკება უძღოდა. მაგრამ, მოდით, ისიც გავიხსენოთ, როგორ აითვალწუნა ლუის ვან გაალმა რიკელმე და რა მოსდით ჰოლანდიელის მოძულებულ ფეხბურთელებს და ყველაფერი გასაგები გახდება.*

*რიკელმეს, ალბათ, მართლაც გაყიდიან, თუ იქამდე თავად ვან გაალს არ მიუთითეს კარისკენ. ამის ალბათობა წლევანდელ ბოლო ტურში „მალიორკასთან" მატჩამდე ძალიან დიდი იყო, ფაქტობრივად, გადაწყვეტილიც, მაგრამ „ბარსელონამ" პალმა დელ მალიორკაზე ბრწყინვალედ ითამაშა და მწვრთნელი გადარჩა, ოღონდ რამდენი ხნით, ეს კაცმა არ იცის...*

**„მალიორკასთან"** მატჩამდე „ბარსელონამ" ზედიზედ ხუთ შეხვედრაში ოდენ ერთი ქულა მიითვალა და გასავარდნ ზონას ორი ქულაღა აშორებდა. ამგვარი უფსკრულის პირას კატალონიელები ბოლოს შორეულ 1941-42 წლების სეზონში იდგნენ. მაშინ „ბარსელონა" გადარჩა და რჩება ერთ-ერთად იმ სამი გუნდიდან, რომელთაც პრიმერადივიზიონი არასდროს დაუტოვებიათ: „რეალი", „ბარსელონა", „ბილბაო". ყოვლად წარმოუდგენელია, „ბარსამ" ახლაც ვერ გადაირჩინოს თავი, თუმცა ჯერჯერობით გუნდი ანტირეკორდების დამყარებას განაგრძობს. შეტევით განთქმულ კატალონიელებს „მალიორკამდე" 14 მატჩში 18 გოლი ჰქონდათ გატანილი, ანუ 1,28 გოლი საშუალოდ ერთ მატჩში. აქამდე უარესი შედეგიანობა კლუბს 1987-88 წლების სეზონში ჰქონდა — 1,3 გოლი. მაშინ „ბარსამ" მაინც მოახერხა მეექვსე ადგილზე აცოცება, ხოლო პრობლემის მოსაგვარებლად მწვრთნელად იოჰან კრუიფს უხმეს და ფორვარდებმაც გატანას უხშირეს. ახლა, „მალიორკასთვის" გატანილი ოთხი გოლის შემდეგ, „ბარსას" შედეგიანობა 1,4 გოლი გახდა, მაგრამ განა ეს ბევრია?

პრიმერადივიზიონის სტატისტიკა გვაცნობს, რომ გუნდი, რომელიც ჩემპიონატის მსვლელობისას თუნდაც ერთი ტურის განმავლობაში ლიდერს 10 ქულით ჩამორჩება, ჩემპიონი ვერ ხდება. ახლა ლიდერი „რეალ სოსიედადია" და „ბარსელონას" მთელი 16 ქულით უსწრებს...

ცხრაქულიანი ჩამორჩენა კი ერთხელ ამოქაჩა — 1998-99 წლების სეზონში იმავ ვან გაალის „ბარსელონა" „მალიორკას" სწორედ ამდენი ქულით ჩამორჩებოდა და ბოლოს მაინც ჩემპიონი გახდა.

16 ქულა კი მართლაც მეტისმეტია, ხოლო „ბარსას" კაპიტანმა ლუის ენრიკემ, როცა საჩემპიონო შანსებზე ჰკითხეს, თქვა: „ეს უტოპიაა". ჯერ სეზონის ნახევარიც არ გასრულებულა და „ბარსელონამ" საჩემპიონო ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა — მსგავსი რამ აქამდე არასდროს მომხდარა.

კრიზისი არც გუშინ დაწყებულა და არც ამ ზაფხულს, როცა პრეზიდენტმა ხუან გასპარმა კლუბში ლუის ვან გაალის დაბრუნება გადაწყვიტა. ორი წლის წინ გასპარმა საპრეზიდენტო არჩევნები სწორედ იმის წყალობით მოიგო, რომ ქომაგთა გულისთქმას აჰყვა და წინამორბედის, ლუის ნუნიესის პოლიტიკა დაიწუნა. მაშინ, რამდენიმე წარმატებული სეზონის შემდეგ, გუნდს შავად წაუვიდა საქმე. სწორედ მაშინ, ნუნიესს და ვან გაალს გაავებულმა ქომაგებმა ყველაფერი გაუხსენეს: ის, რომ გუნდი ნახევრად ჰოლანდიური გახდა, რომ მწვრთნელი ჟურნალისტებს გადაემტერა, რომ რონალდოს გასაქანს არ აძლევდნენ და ბევრიც სხვა. სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა „ბარსელონა" ტიტულებს იგებდა, ქომაგებს ეს ამბები არ ახსოვდათ.

1999 წლის ივნისში ნუნიესი პოსტიდან გადადგა და მფარველის გარეშე დარჩენილ ვან გაალსაც წასვლა მოუხდა. ჰოლანდიელი სკანდალით წავიდა. მან სრულად კატალონიას გამოუცხადა რასაც ფიქრობდა და ზარმაცი ეგოისტები უწოდა. მისი ცოლი კი სულ მთლად გაკაპასდა: „ჩემი ქმარი მეტისმეტად კარგი მწვრთნელია ასეთი გუნდისთვის".

დადგა გასპარის ერა, რომელიც, კატალონიელთა სამწუხაროდ, პირველივე დღეებში დამარცხებით დაიწყო: „ბარსელონამ" ლუიშ ფიგუ დათმო. მერე გასპარმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ფლორენტინო პერესის წაბაძვით მწვრთნელად შინაური კაცი, ლორენს სერა ფერერი დანიშნა. ამან ვერ გაამართლა, ფერერმა დელბოსკეობა ვერ გასწია — კლუბს იდეალურად კი იცნობდა, მაგრამ ამხელა პასუხისმგებლობის ასაღებად მზად არ იყო. შეცდომის გამოსწორების მცდელობას გასპარმა მეორე შეცდომა მიაყოლა, სერა ფერერი დირექტორატის წევრით, კარლოს რექსაჩით შეცვალა. გუნდს არაფერი ეშველა, რექსაჩს ფეხბურთელობისას მიღებული გამოცდილება მწვრთნელობაში არ გამოადგა. ახლა კი ლუის ვან გაალი. მისი დაბრუნება სასოწარკვეთილი კაცის ნაბიჯს ჰგავდა: ჰოლანდიელი თავის დროზე ხომ ისე წავიდა, ზურგს უკან ხიდი დაწვა.

მეორედ დანიშვნისას ვან გაალმა პრეზიდენტს უამრავი პირობა წაუყენა. მათგან მთავარი გუნდიდან რივალდოს გაშვება იყო, რომელსაც 1999 წელს მომხდარი ჩხუბის მერე ველარ იტანდა. გასპარი დაყაბულდა და ბრაზილიელი, რომლის სატრანსფერო ღირებულებაც, ახლანდელი საყოველთაო ფინანსური კრიზისის გათვალისწინებითაც კი, რამდენიმე ათეულ მილიონ ევროს შეადგენდა, იტალიაში უფასოდ დაამგზავრეს. ეს გარიგება ევებ ბიზნესის სახელმძღვანელოებშიც შევიდეს — კლუბის ლიდერი, რომელსაც მოქმედი კონტრაქტი აქვს და კლუბის მიერ გატანილი გოლების მესამედის ავტორია, მუქთად დაუთმეს მდიდარ კლუბს, რომელიც უეჭველად დათანხმდებოდა თუნდაც რამდენიმე მილიონის გადახდაზე.

საერთოდაც, ხუან გასპარის სატრანსფერო პოლიტიკა ცალკე საუბრის თემაა. ჯერ კიდევ ლუის ნუნიესის დროს ვან გაალის საამებლად კლუბი დიდი ფეხბურთელების, მაგალითად, ფრანკ დე ბურსა და პატრიკ კლუივერტთან ერთად, არასაბარსელონო ფეხბურთელებსაც ყიდულობდა. ბოლო ორ წელიწადში კი ახალწვეულთა მიყვანის სისტემა სრულად უსისტემო გახდა. ამ ორ წელიწადში გასპარმა ახალ ფეხბურთელებზე 200 მილიონი ევრო დახარჯა. იყიდა: რობერტო ბონანო, პატრიკ ანდერსონი, ფილიპ კრისტენვალი, დეიბერსონ ჯოვანი, ფაბიო როჩემბაკი, რობერტ ენკე, ალფონსო პერესი (ახლა „რეალ ბეტისშია"), ერთი სიტყვით, ის ხალხი, რომლებიც დიდვარსკვლავები ნამდვილად არ არიან. სხვათა შორის, ამ ფასად ფლორენტინო პერესმა ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი და რონალდო ჩაიგდო ხელში. თუმცა იყო გამონაკლისებიც: იტალიიდან დაბრუნდა გაისკა მენდიეტა, ნიჭიერი და პერსპექტიული არგენტინელები, ხავიერ სავიოლა და რომან რიკელმე. მაგრამ გაირკვა, რომ ვან გაალს ისინი ნაკლებად სჭირდება. ვან გაალი, რომელიც ტექნიკურ სამხრეთამერიკელებს ამრეზით უყურებს, სავიოლას მხოლოდ იმიტომ ეგუება, რომ „ბაჭიას" გოლების გატანა შეუძლია, რიკელმე კი მყარად ზის სათადარიგოთა სკამზე და მხოლოდ მაშინ დგება, თუ ვინმე ტრავმირებულია. რაც შეეხება მენდიეტას, ისიც ვერ შეეგუა ცენტრში თამაშს და ამიტომ ნაკლები სარგებლობა მოაქვს. შედეგი: სათადარიგოთა სკამი. ამასთანავე, „ბარსელონა" არც აპირებს მენდიეტას საბოლოოდ გამოსყიდვას „ლაციოსგან". რომაელები ქერა ბასკში 24 მილიონ ევროს ითხოვენ, „ბარსა" მხოლოდ 15 მილიონს გამოდის, რაც ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონიდან მენდიეტა ბარსელონადან წავა.

ამ დროს ვან გაალი ახალ და ახალ ხალხს ითხოვს. ამბობს, რომ კიდევ ერთი მაღალი კლასის ფორვარდის გარეშე გუნდი კრიზისს ვერ დასძლევს და მალიმალ თანამემამულე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს ახსენებს. ვან გაალს ხანგრძლივი დროით დაშავებული მცველის, ფერნანდო ნავაროს შემცვლელიც სჭირდება. აქვე უპრიანია გავიხსენოთ, რომ ახლახან ანდრეს დალესანდრის ყიდვა გადაწყდა. მსოფლიოს ბოლო ახალგაზრდული ჩემპიონატის გმირი კლუბს ათ მილიონ ევროზე ცოტა მეტი დაუჯდება. მაგრამ როგორი ბედი ეწევა ყმაწვილ რივერპლეიტელს ვან გაალის ხელში? ისეთივე ხომ არა, როგორიც რომან რიკელმეს?

არადა, ყოველი სატრანსფერო ლაფსუსი „ბარსელონას" ძალიან ძვირად უჯდება. ნოემბრის ბოლოს კლუბის ფინანსურმა დირექტორმა გამოაცხადა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი 42 მილიონ ევროს შეადგენს. ბოლო წლებში ეს უცუდესი მაჩვენებელია და სეზონის ბოლოს კლუბს შესაძლოა, უზარმაზარი ვალი დაუგროვდეს. თუმც ჯერჯერობით ფინანსისტები იმედოვნებენ, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული თამაში ხარჯებს დაფარავს და გასპარს ურჩევენ, დანის, ჯოვანის ან კრისტენვალის გაყიდვამდე ახალი არავინ შეიძინოს.

„მე ალბათ მართლაც ცუდი მწვრთნელი ვარ — რამდენიმე დღის წინ ირონიულად შენიშნა ვან გაალმა — „ბარსაში" მუშაობის პირველ წლებში გუნდი ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და სამეფო თასიც მოიგო. მაშინ მიკიჟინებდნენ, ჩემპიონთა ლიგას რატომ ვერ იგებო. ამბობდნენ, ის უფრო მნიშვნელოვანიაო. ახლა ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინვალედ ვთამაშობთ და მეუბნებიან, პრიმერადივიზიონი უფრო მნიშვნელოვანიაო."

ამ დაკვირვებაში, ცხადია, სიმართლის მოზრდილი წილი ურევია, მაგრამ ისიცაა, რომ „ბარსას" ბოლოდროინდელ ჩავარდნაში ვან გაალის ხელიც ურევია. ვან გაალი უკვე აღარ არის ის მწვრთნელი, რომელმაც „აიაქსს" ყველა შესაძლო ჯილდო მოაგებინა და „ბარსელონაც" ორჯერ გააჩემპიონა. ის უკვე რა ხანია, საქმიანობაში პირად სიმპათიებს ანიჭებს უპირატესობას: არგენტინელებს და ბრაზილიელებს ჰოლანდიელები ურჩევნია, ნიჭიერ იმპროვიზატორებს კი მუშები. სწორედ ამაზე ამბობდა რივალდო ბარსელონური „სპორტისთვის" ახლახან მიცემულ ინტერვიუში.

მაგრამ მთავარი პრეტენზია, რომელსაც ჰოლანდიელს უყენებენ, მოქნილობის უქონლობა და სქემებით ზღვარგადასული გატაცებაა. ის მუდმივად რაღაცას ინიშნავს თავის ცნობილ ბლოკნოტში და მისი ეს თვისება რა ხანია, დაცინვის საგნად იქცა: „ვან გაალმა და მისმა ბლოკნოტმა გადაწყვიტეს...", „მეტოქემ თავგზა აუბნია ბლოკნოტს და მის პატრონს...", „ბლოკნოტში გამარჯვების რეცეპტი არ აღმოჩნდა..."

ესპანეთში სეზონის დაწყებიდან უკვე ოთხი თვე გავიდა და იქაურ პრესაში „ბარსელონას" ერთი მატჩის მიმოხილვაც არ დაწერილა ვან გაალის ბლოკნოტი რომ არ ეხსენებინათ. ნახსენები ხუმრობები მეტწილად უბოროტოა, აი, „რაიო ვალეკანოსთან" მარცხის შემდეგ ტრიბუნებზე გამოფენილ პლაკატებზე იგივეს ვერ ვიტყვით.

ქართველთა ავადმყოფურ მოთმინებასთან ახლოს როგორ მივა, მაგრამ „ბარსელონას" ქომაგებსაც რომლებიც





ხუან რომან რიკელმემ ბარსელონაში ჩასვლა ვერ მოასწრო, უკვე გაყიდვას უპირებენ, ხავიერ სავიოლა კი როგორღაც ძლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაქსიმი, დემი და დრუკი: საუკეთესო მამა ვარ

## საქართველოში დაპატიჟებული რონალდ დე ბურის გულახდილობა: განსაკუთრებული ქარიზმა და კულტურის არქონა



*ძმები ფრანკ და რონალდ დე ბურები — 90-იანი წლების და თანამედროვე ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტყუპვარსკვლავები...*

*მათ ჩემპიონთა ლიგის თასი აუწევიათ, ეროვნულ ნაკრებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ნახევარფინალებში უთამაშიათ, სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონობა და თასი უზეიმიათ.*

*რონალდი კი ის ტყუპისცალია, ახლა „გლაზგო რეინჯერსში" რომ ბურთაობს და ჩვენებურ შოთა არველაძეს ჯერ კიდევ „აიაქსში" დაუძმაკაცდა.*

*რეინჯერსელ დე ბურს თუ როგორ ეხერხება ფეხბურთის თამაში, ქვეყანამ იცის და ახალს ამაზე ვერც ვერავინ იტყვის.*

*მაგრამ თვით რონალდს კი სათქმელი ყოველთვის მოეპოვება — ამ 32 წლის შუახაზელს მოსაგონარიც ბევრი აქვს და მიმდინარე ამბების თანამონაწილეცაა.*

*ერთი სიტყვით, აიბროქსელ დე ბურს ინტერვიუ ჩამოვართვით და „სარბიელის" მკითხველის ინტერესიც ამ ფეხბურთელის მიმართ, ალბათ, ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილეთ.*

*დე ბურთან დაკავშირება კი, რა თქმა უნდა, შოთა არველაძის დახმარებით მოვახერხეთ — რონალდს ევროპული შობის წინა დღეს ვესაუბრეთ.*

— გლაზგოში ახლა ძალიან ცივა, და არ გერჩივნათ მზიურ ესპანეთში, „ბარსელონაში" დარჩენილიყავით, ან რომელიმე სხვა სამხრეთულ გუნდში?

— ამინდი ერთია, მაგრამ ფეხბურთი ხომ ჩემი ცხოვრებაა ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფეხბურთელი იმ გუნდით იყოს კმაყოფილი, რომელშიც თამაშობს.

— და რატომ მიანიჭეთ უპირატესობა „რეინჯერსს"? თქვენი აზრით, რითია „რეინჯერსი" დიდი გუნდი, მას ხომ ერთი ევროთასის გარდა ევროსარბიელზე არაფერი მოუგია?

— ორიგინალურს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ამ კლუბს მართლაც თავისებური ფანები ჰყავს და ძალიან განსაკუთრებული ისტორიითა და ტრადიციებით იწონებს თავს. თუმც ყველაფრის სიტყვით გადმოცემა მიჭირს — უბრალოდ, „რეინჯერსში" უნდა ითამაშო, ამ გუნდის სიდიადეს რომ ჩასწვდე.

— „აიაქსი", „ბარსელონა" და „რეინჯერსი" — ასეთ დიდ გუნდებში გითამაშიათ და რომელია მათგან ყველაზე ქარიზმატული?

— ასეთ შეკითხვაზე ჩემებურად გიპასუხებთ — სამივე ამ გუნდში ძალიან მაღალი კლასის, ქარიზმატული ფეხბურთელები თამაშობდნენ, მაგრამ ისინი თავიანთი ქარიზმის გამო არასდროს ქედმაღლობდნენ, არ იყენებდნენ თავიანთ მდგომარეობას იმისთვის, რომ თანაგუნდელებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყვნენ, რაიმე პრივილეგიები ჰქონოდათ. არის სხვა დიდი გუნდებიც, მაგრამ ყველგან ასეთი სიტუაცია როდია — სწორედ ამაშია „აიაქსის", „ბარსელონისა" და „რეინჯერსის" განსაკუთრებული თვისება.

— და კარიერასაც „რეინჯერსში" დაასრულებთ?

— კარგი გამოთქმაა — არასდროს თქვა არასდროს, მაგრამ, ალბათ „რეინჯერსში" დავასრულებ თამაშს.

— ეროვნულ ნაკრებ როდის გამოეთხოვებით, გსურთ კარიერის ბოლომდე ითამაშოთ ნაკრებში?

— სადამდეც შევძლებ ნაკრების დონეზე თამაშს, იქამდე — ეროვნულ გუნდში თამაში ყველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ ყველაფერი ჩემზე და ჩემს სურვილებზე არაა დამოკიდებული.

— ტრადიციული და ბევრჯერ თქმული შეკითხვაა — ჰოლანდიის ნაკრებს ევრო 88-ის გარდა არაფერი მოუგია, თუმც დიდ გამარჯვებებთან ხშირად ყოფილა ახლოს — თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

— ვცდილობთ ლამაზად ვითამაშოთ და ისე მოვიგოთ, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანის, გამარჯვების კულტურა გვაკლია. ამით განვსხვავდებით და ჩამოვუვარდებით გერმანელებს.

— კორეა-იაპონიაში კი ჰოლანდია საერთოდ ვერ მოხვდა — ეს ჰოლანდიური ფეხბურთის კრიზისს ნიშნავს?

— თავიდან ყველას გვეგონა, რომ იოლი შესარჩევი ჯგუფი გვერგო და გონს მაშინ მოვეგეთ, როცა საქმე გაგვირთულდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო. რაც მოხდა, ეს მხოლოდ, ფეხბურთელების ბრალია.

— რონალდ დე ბურის კარიერაში რომელი იყო საუკეთესო და ყველაზე დრამატული მატჩი?

— 1995-96 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში „მილანს" სტუმრად მოვუგეთ 2:0 ტრიესტში („სან სიროს" სტადიონი მაშინ დისკვალიფიცირებული იყო) — ვთვლი, რომ ის იყო ჩემი საუკეთესო მატჩი, ხოლო ყველაზე დიდი გაწბილება წინ მელოდა — ფინალში „იუვენტუსთან" პენალტების სერიაში დავმარცხდით.

— თქვენი ძმა ფრანკი თქვენი საუკეთესო მეგობარია?

— უბრალოდ ერთმანეთის ყველაფერი ვიცით, ერთმანეთს ვერაფერს გამოვაპარებთ, ტყუპები უსიტყვოთ ვუგებთ ერთმანეთს.

— თქვენი ძმის არასდროს არაფერი გშურდათ?

— პირიქით, სულ ის მინდოდა, ყველაფერში საუკეთესო ყოფილიყო.

— შოთა არველაძეზეც ვთქვათ. შარშან მისი „აიაქსიდან" „რეინჯერსში" გადასვლა ალბათ იმანაც განაპირობა, რომ აიბროქსელებს მაშინ ჰოლანდიელები, დიკ ადვოკაატი და იან ვოუტერსი წვრთნიდნენ. თქვენც გაუწიეთ რეკომენდაცია არველაძეს „რეინჯერსში"?

— არა, მე არაფერ შუაში ვარ, ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს.

— საქართველოში არ აპირებთ ჩამოსვლას? არ გაინტერესებთ რა ქვეყანაა? შოთას არასდროს დაუპატიჟებიხართ სამშობლოში?

— შოთამ რამდენჯერმე დამპატიჟა საქართველოში და ადრე თუ გვიან თქვენთან აუცილებლად ჩამოვალ. შოთა ბევრს მიყვება ხოლმე თავის სამშობლოზე და მსურს, ჩემი თვალით ვნახო ყოველივე.

— ფეხბურთის თამაშის გარდა კიდევ რისი კეთება შეგიძლიათ კარგად? კიდევ რაში ხართ წარმატებული?

— საერთოდ ვცდილობ, ყველაფერი კარგად გავაკეთო. ეს ალბათ იმითაცაა გამოწვეული, რომ სპორტული ტიპი ვარ, სპორტული ხასიათი მაქვს და დამარცხებას ვერ ვიტან. და კიდევ, ვფიქრობ, ჩემი სამი ქალიშვილისთვის — მაქსიმი, დემი და დრუკი — საუკეთესო მამა ვარ.

— და ყველაზე უფრო ოჯახთან ყოფნით განიტვირთებით ხოლმე?

— დიახ და ამავე დროს კარგი რელაქსაციაა მეგობრებთან ყოფნა და გოლფის თამაში.

— ყველაზე უფრო რა გაბრაზებთ?

— როცა ადამიანები გულახდილები არ არიან.

— შობა-ახალწელს როგორ ატარებთ?

— ალბათ ისე, როგორც ყველა — მე, მეუღლე და ბავშვები სულ იმას ვცდილობთ, შობა-ახალიწლისთვის განსაკუთრებული გარემო შევიქმნათ.

**დავით თავართქილაძე**



დახმარება: მარცხნივ რონალდია, მარჯვნივ ფრანკი



„ბარსელონას" გაჰოლანდიელებას მხოლოდ პატრიკ კლუივერტი ამართლებს

იმთავითვე წინააღმდეგები იყვნენ ვან გაალის დაბრუნებისა, კარგი გაძლება ჰქონიათ. „ბარსას" ხელმძღვანელობას ერთ ხანს გუნდის ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფალური სვლა შველოდა, თუმც ისიცაა, რომ ლიგის პირველ ეტაპზე „ბარსა" იოლ ჯგუფში მოხვდა „გალათასარაისთან", „ბრიუგესთან" და „ლოკომოტივთან" ერთად.

დაახლოებით ერთი თვის წინ კი დაიწყო. მთელ ესპანეთში გაბნეულმა „ბარსას" ფან-კლუბებმა ლერიდას ფანკლუბის დაწყებულ აქციას მხარი აუბეს: გასპარი და ვან გაალი უნდა წავიდნენ! მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ გასპარს და ვან გაალს ახლაც მრავლად მომხრეები ჰყავთ, დანარჩენები კი ხელმოწერების შეგროვებას შეუდგნენ. პირველი დიდი აქცია „ნიუკასლთან" მატჩის წინ დაიწყო. „კამპ ნოუსთან" აქტივისტებს დახლები გაუშლიათ და თამაშის საცქერლად მიმავალ ხალხს გასპარ-ვან გაალის გადადგომის მოთხოვნაზე ხელის მოწერას სთავაზობდნენ. იგივე ამბავი „სევილიასთან" მატჩის წინაც მოხდა და ამ ორ დღეში 1500 ხელმოწერა შეგროვდა. აქცია კი გრძელდება და მას კლუბის დირექტორატის ზოგიერთმა წევრმა და ბევრმა ფეხბურთელმაც დაუჭირეს მხარი. ზოგი სხვაგვარი ხერხებით იბრძვის. ცნობილი კატალონიელი მუსიკოსი ფრენკ ჩარლზი წინა კვირაში კლუბის ოფისს მიადგა და გამვლელებს თავის ახალ კომპაქტ-დისკს ურიგებდა. ალბომში ერთი ასეთი სიმღერაა: „გასპარ, წადი!" ტექსტში კი ნათქვამია: „გასპარ და ვან გაალ, თუ გინდათ, რომ გუნდმა მოიგოს, საუკეთესო, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ, წასვლაა!"

ოქტომბერში დაირხა ხმები, რომ გასპარმა ვან გაალს ულტიმატუმი წაუყენა: თუ ნოემბერში ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვლებოდა, ახალი მწვრთნელის ძებნას დაიწყებდა. ამაზე ადრეც ვწერდით. ვან გაალმა ეს ცნობა არ უარყო.

გამოცხადდა ვან გაალის მემკვიდრის ვინაობაც — განთქმული არგენტინელი კარლოს ბიანკი, რომელმაც, როგორც გაირკვა, ჯერ კიდევ ზაფხულში გააფორმა „ბარსასთან" წინასწარი კონტრაქტი და გასპარის ერთ სიტყვასლა ელოდებოდა. ბიანკიმ დაადასტურა, რომ შემოდგომაზე „ბარსას" ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტს მისთვის უთქვამს, ვან გაალის ბედი დღე-დღეზე გადაწყდებაო. ამიტომაც იყო, რომ არგენტინელმა ჩილეს ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის" სარფიანი წინადადებები უკუაგდო.

ნოემბერში „ბარსას" თამაშს უკეთესობა არ დაეტყო. მაგრამ ხუან გასპარი გადაწყვეტილების მიღებაზე ფეხს ითრევდა. სხვა რომ არაფერი, ვან გაალისთვის საკომპენსაციოდ ექვსი მილიონი დოლარის გადახდა მოუწევდა. ოკეანის გაღმა კი კარლოს ბიანკის მოთმინებასაც ვადა გასდიოდა. ერთი კვირის წინ არგენტინელის აგენტმა კატალონიელებს შეუთვალა: თუ უახლოეს დღეებში ჩემს კლიენტს მწვრთნელად არ დანიშნავთ, მერე გვიან იქნება, ჩვენ უკვე მაგიდაზე გვიდევს „ბოკა ხუნიორსის" კონტრაქტიო.

„სევილიასთან" მარცხის შემდეგ ვან გაალის საკითხი დირექტორთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს. გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, ხუან გასპარმა ჰოლანდიელისთვის ბოლო შანსის მიცემა მოითხოვა, თუ გუნდი „მალიორკასთანაც" დამარცხდებოდა, მწვრთნელს პრეზიდენტიც ვერ უშველიდა. იმ სხდომის მერე გასპარის პასუხით განრისხებული ორი ვიცე-პრეზიდენტი, გაბრიელ მასფურაილი და ხუან კასტელიესი გადადგა.

წინა უქმეებზე „ბარსელონამ" „მალიორკა" გაანადგურა, ვან გაალი გადარჩა, ხოლო კარლოს ბიანკიმ, გუშინაც გამცნეთ, „ბოკა ხუნიორსთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**გიორგი დარჯანია**



ბლოკნოტს თავდახრილი პატრონი მიჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი

სერგი ქორიძე

# სარი გატყდა

| XX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბირმინგემი | — | ევერტონი |
| ვესტ ჰემი | — | ფულემი |
| ბოლტონი | — | ნიუკასლი |
| ლივერპული | — | ბლექბერნი |
| მანჩესტერ სიტი | — | ასტონ ვილა |
| სანდერლენდი | — | ლიდსი |
| ვესტ ბრომვიჩი | — | არსენალი |
| მიდლსბრო | — | მანჩესტერი |
| ჩელსი | — | საუთჰემპტონი |
| ტოტენჰემი | — | ჩარლტონი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 19 | 12 | 3 | 4 | 39:20 | 39 |
| ჩელსი | 19 | 10 | 7 | 2 | 34:15 | 37 |
| მანჩესტერი | 19 | 10 | 5 | 4 | 30:18 | 35 |
| ევერტონი | 19 | 10 | 3 | 6 | 22:21 | 33 |
| ლივერპული | 19 | 9 | 5 | 5 | 28:19 | 32 |
| ნიუკასლი | 18 | 10 | 2 | 6 | 29:24 | 32 |
| ტოტენჰემი | 19 | 9 | 4 | 6 | 27:26 | 31 |
| საუთჰემპტონი | 19 | 7 | 7 | 5 | 22:19 | 28 |
| ბლექბერნი | 19 | 7 | 6 | 6 | 25:22 | 27 |
| მიდლსბრო | 19 | 7 | 5 | 7 | 22:18 | 26 |
| ჩარლტონი | 19 | 7 | 4 | 8 | 21:23 | 25 |
| სიტი | 19 | 7 | 3 | 9 | 24:28 | 24 |
| ბირმინგემი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:22 | 24 |
| ფულემი | 19 | 6 | 4 | 9 | 22:25 | 22 |
| ასტონ ვილა | 19 | 6 | 4 | 9 | 17:20 | 22 |
| ლიდსი | 19 | 6 | 3 | 10 | 24:26 | 21 |
| სანდერლენდი | 19 | 4 | 6 | 9 | 12:26 | 18 |
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 4 | 4 | 11 | 15:29 | 16 |
| ბოლტონი | 18 | 3 | 6 | 9 | 19:32 | 15 |
| ვესტ ჰემი | 19 | 3 | 5 | 11 | 18:35 | 14 |

**ნაშობაევებს** ინგლისური პრემიერლიგის ჩვეულებრივ სამდღიანი ტური ერთ დღეში ჩაეტევა. ჩემპიონი და ლიდერი „არსენალი“ „ვესტ ბრომვიჩს“ სტუმრობს და „მეთოფეები“, ცხადია, პირველი ადგილის მორიგი სამი ქულით განმტკიცებას შეეცდებიან. თუმცა ამის გაკეთება გაცივებული ფრედერიკ ლიუნგბერგის გარეშე მოუწევთ. კვლავ ტრავმირებულები არიან პატრიკ ვიეირა და რეი პარლოუ. საეჭვოა მუხლმტკივანი ბრაზილიელი ედუს თამაშიც. ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა კი დაშავებული მუხლი უკვე მოირჩინა და ალბათ, ითამაშებს. პრობლემები ვესტბრომვიჩელთა თავკაც გარი მეგსონსაც არ აკლია. ტრავმირებულია ცენტრალური მცველი ფილ ჯილკრისტი, იგორ ბალიშის ნაცვლად კი, შესაძლოა, ადამ ჩემბერსმა ითამაშოს.

მძიმე მატჩი ელის „მანჩესტერ იუნაიტედს“ — „მიდლსბროსთან“ სტუმრად ყველას უჭირს. მანჩესტერელებს წელმტკივანი პოლ სქოულზი დააკლდებათ. ჯერაც არ არის გადაწყვეტილი სასტარტოში იქნება თუ არა ხუან სებასტიან ვერონი. არგენტინელი ვარჯიშზე დაშავდა. „მიდლსბროს“ მუხლის ტრავმის გამო ჯორჯ ბოატენგი ვერ დაეხმარება, სათუოა ნოელ ველანის თამაშიც.

ბოლო ხანებში არადამაჯერებლად მოთამაშე „ლივერპული“ „ბლექბერნს“ დაუხვდება. გამარჯვებას ულიეს გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს („არსენალი“ „ლივერპულს“ 6 ქულით უსწრებს). მოსალოდნელია მასპინძელთა სასტარტოში ემილ ჰესკი ვიხილოთ. ლივერპულელთა ერთადერთი სერიოზული დანაკლისი გერმანელი დიტმარ ჰამანია. სტუმარ „ბლექბერნს“ დისკვალიფიკაციამოხდილი ნახევარმცველი დევიდ ტომპსონი დაუბრუნდა. სამაგიეროდ, კიდევ რვა კვირა ვერ ითამაშებს კლუბში ახალგადასული თურქი ჰაქან შუქური.

მეორე ადგილზე აცოცებული „ჩელსი“ „საუთჰემპტონს“ შეიძლება ორი დიდი ფრანგით, ემანუელ პეტითა და მარსელ დესაით დაუხვდეს. შეგახსენებთ, დესაიმ პირადული მიზეზების გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა, გრიპშეყრილ პეტის კი წინა ტურში „ასტონ ვილას“ დამარცხებაში არ მიუღია მონაწილეობა. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა 5 ყვითელი ბარათის შემგროვებელმა ენრიკე დე ლუკასმაც. „არისტოკრატთა“ მეტოქემ, გორდონ სტრაჩანის „საუთჰემპტონმა“ ბოლო ხუთ მატჩში 11 ქულა დააგროვა. ასე რომ, სტუმართა რიგებში რაიმე ცვლილება წინა მატჩებთან შედარებით მოსალოდნელი არ არის. ფინელმა მეკარე ანტი ნიემიმ ბოლო ხანს ძირითადიდან პოლ ჯოუნსი ამოაგდო. „საუთჰემპტონს“ შვედი ნახევარმცველი ანდრეას სვენსონიც გამოუჯანმრთელდა, თუმც გუნდის ძირითადში მოხვედრა ალბათ შვედსაც გაუჭირდება.

„ტოტენჰემს“ „ჩარლტონთან“ ჯახში ვარჯიშზე ტრავმამიღებული ტედი შერინგემი ვერ დაეხმარება. გლენ ჰოდლის ავადმყოფობის გამო გარი დოჰერტი, მაურისიო ტარიკო და ლეს ფერდინანდიც არ ეყოლება. „ჩარლტონს“ დისკვალიფიკაციამოხდილი საუკეთესო მეგოლე ჯეისონ იუელი დაუბრუნდა. „ბირმინგემთან“ დაშავებულ რიჩარდ რუფუსს კი სამედიცინო გამოკვლევა ელის.

ბოლოსწინა ადგილზე მყოფი „ბოლტონი“ „ნიუკასლს“ მასპინძლობს და, ცხადია, სახიფათო ზონიდან გამოსაძრომად ქულები ჰაერივით სჭირდება. გუნდს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ თურქი აკინ ბიულენთი გააძლიერებს, სამაგიეროდ, საგრძნობლად დასუსტებულია ბოლტონელთა უკანა ხაზი, ფრანგი მცველის ბრუნო ნგოტის ტრავმის გამო. ბობი რობსონის ერთადერთი საწუხარი კირონ დაიერის ავტოავარია იყო. კირონი გუნდის 18-კაციან განაცხადში მაინც შეიყვანეს.

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა კევინ კიგანმა წინა ტურში „ტოტენჰემთან“ მარცხის შემდეგ შესაძლოა, შემადგენლობა გვარიანად გადაახალისოს. ალბათ ძირითადში ვერ ვიხილავთ გუნდის კაპიტან ალი ბენარბიას, აი, ჩინელი ქიხაი კი „ასტონ ვილას“ პირველივე წუთებიდან დაუპირისპირდება, ამავე დროს სასტარტოში კევინ ჰორლოკისა და შონ გოტერის ნაცვლად ნიკოლას იენსენისა და დარენ ჰაკერბის გამოჩენაა მოსალოდნელი. „ვილას“ მენეჯერს, გრემ ტეილორს, შემადგენლობის დასახელებამდე სტივ სტონტონისა და ოლოფ მელბერგის ამბავი აქვს გადასაწყვეტი. ორივე ტრავმირებულია და შეძლებენ თუ არა მანჩესტერში თამაშს, ჯერაც არ არის ცნობილი. ასევე სათუოა „მეინ როუდზე“ იან ტეილორის, რონი იონსენის და სტივენ მურის გამოჩენა. ზემოჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ნამდვილად ვერ ითამაშებს მარკ დილანი. მას ფეხის ტრავმა აქვს მოსაშუშებელი.

ბოლოადგილოსანი „ჩაქუჩებისთვის“ კარგი ამბავი ფრედერიკ კანოს 12-კვირიანი იძულებითი შვებულების შემდეგ დაბრუნება იქნება. „ფულემს“ კი ედვინ ვან დერ სარი გამოაკლდა და, როგორც ჩანს, დიდი ხნით. ჰოლანდიელმა ნიუკასლში ფეხი მოიტეხა. ვან დერ სარის გარდა ტიგანას ბიჭებს „ვესტ ჰემთან“ გამკლავება ლუი საჰას, ფაკუნდო სავასა და ბარი ჰიუზის გარეშე მოუწევთ. სამივე ტრავმირებულია. „სანდერლენდს“ „ლიდსთან“ საშინაო მატჩში „ვესტ ბრომვიჩთან“ დაშავებული გევინ მაკკანი გამოუჯანმრთელდა და სავარაუდოდ ძირითადშიც იქნება. ფსკერისკენ წასულ სტუმართა შორის კი ლი ბოიერის თამაშია სათუო. ნახევარმცველს კოჭის ტრავმა გაუმიზეზდა და პრემიერლიგის ბოლო ორი შეხვედრა გამოტოვა. ტერი ვენეიბლზს იმედი აქვს, რომ „სანდერლენდისათვის“ ბოიერი მზად იქნება. ტერის გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი ერიკ ბაკეც შეუერთდა.



ვაი, „ფულემს“: ედვინ ვან დერ სარმა ფეხი მოიტეხა

# თავისუფალი ხარ, ჯარიდან!

## რიისეს მანჩესტერში რომ ეთამაშა, იქნებ გენერლობისთვის გამოეკრა ხელი



„ლივერპულის“ ნორვეგიელი ნახევარმცველი იონ არნე რიისე ნაახალწლევს ჩექმებისა და ფარაჯის ჩაცმას გადარჩა — მოგეხსენებათ, მას ჯარში იწვევდნენ, რის გამოც შეშფოთებული დედამისი ბერიტი აცხადებდა — ახლა იონ არნეს ფეხბურთისთვის ერთი წლით ჩამოცილება მისი ცხოვრების ათი წლით გაფუჭებას ნიშნავსო. რიისე სამხედრო ნაწილში 8 იანვარს უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ მათ ვინც გუშინ „ლივერპულის“ საინტერნეტო ვებ-გვერდი მოინახულა, უთუოდ გადააწყდებოდა გუნდის ფრანგი მწვრთნელის, ჟერარ ულიეს ციტატას:

„პროცესი გაჩერდა. ყველაფერი ადმინისტრაციული შეცდომების ბრალი იყო, ახლა კი საჭირო წერილი გაგზავნილია და პრობლემაც აღარ არსებობს. რიისე არსადაც არ წავა“.

იგივე დაადასტურა 22 წლის ფეხბურთელის აგენტმა ეინარ ბაარდსენმაც:

„როდესაც ადამიანი უცხოეთში მუშაობს, სამხედრო სამსახურისგან ავტომატურად თავისუფლდება. რიისე ხუთი წელიწადია ნორვეგიაში აღარ ცხოვრობს ასე რომ პრობლემაც ამოწურულია. ნორვეგიის არმიის ჩინოვნიკებისგან კი სასაცილო წერილი მივიღეთ. ისინი გვამცნობენ, რომ ფეხბურთელს „ლივერპულში“ დარჩენის ნებას რთავენ, მაგრამ, ვინაიდან თავად „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგები არიან, ურჩევნიათ რიისეს ამ გუნდში ეთამაშა. ერთი სიტყვით, იგი „ლივერპულში“ რჩება და, მართალია, არმია თავს არ დაანებებს, მაგრამ მის ახალ გაწვევამდე დიდი დრო გავა. გარდა ამისა, თუ რიისე საზღვარგარეთ 28 წლამდე იმუშავებს, მას ველარასდროს გაიწვევენ“.

**ბაკუნა ძიდია**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელი** თავდამსხმელი, 24 წლის მიროსლავ კლოზე, შეყვარებულს, 20 წლის ჯულიას დაშორდა. წყვილმა ერთად ორი წელი გაატარა. „ჩვენ დროს მშვენივრად ვატარებდით, თუმც ერთმანეთს მაინც ვერ შევეწყვეთ და ახლა მეგობრებად დავრჩებით“ — განაცხადა გულნატკენმა ფეხბურთელმა.

**იტალიური „ინტერის“** ფორვარდი ნიკოლა ვენტოლა შესაძლოა, ბერგამოს „ატალანტას“ დაუბრუნდეს. ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და თან ყოფილი გუნდიც ეპატიჟება. „ინტერი“ კი გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს და მადრიდის „რეალიდან“ სანტიაგო სოლარის გადაბირებას აპირებს. „იანვარში ალბათ რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ, ძირითადად მარცხენა ფლანგის მოთამაშეებს“ — განაცხადა „ინტერის“ თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა.

**აშშ-ის** ეროვნული ნაკრების თავკაცი ბრიუს არენა პოსტზე კიდევ ოთხი წლით დატოვეს. წლევანდელ მუნდიალზე აშშ-ის წარმატებით გამოსვლის გამო, არენას ნაკრები 2006 წლის მსოფლიო პირველობაზეც ანდეს. „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, 51 წლის სპეციალისტს წლიურ გასამრჯელოდ 600 ათასი დოლარი დაუნიშნეს.

**ინგლისური „ლივერპულის“** მოთამაშე სტივენ ჯერარდს შესაძლოა, რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია ან ჯარიმა დააკისრონ. შეგახსენებთ, რომ შაბათს, ლივერპულში, ადგილობრივ დერბიში, ჯერარდი ევერტონელ გარი ნეისმიტს ორივე ფეხით დაახტა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ამ ინციდენტის ვიდეოჩანაწერს კიდევ ერთხელ დააკვირდება და ჯერარდსაც სკადრის სასჯელს დააკისრებს. თუმცა როგორც ფეხბურთელი აცხადებს, განზრახ არ უეხებია და ბოდიშიც მოიხადა.

**უელსური „ბარი თაუნის“** ახალარჩეულ პრეზიდენტ ჯონ ფაშანუს გუნდის გაძლიერება გადაუწყვეტია და ამისთვის სამი ფეხბურთელიც შეურჩევია — ბენედიქტ აკვუეგბუ ჯულიუსა აგაოვა და ტარიბო ვესტი. კლუბის განცხადებით, თუ მოთამაშეები „ბარი თაუნში“ გადავლენ, კვირაში გასამრჯელოდ 4 ათასი გირვანქა ექნებათ.

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა პოლ გესქოინმა „ლიდსში“ თამაშის სურვილი გამოთქვა. ამჟამად იორკშირელებს ტერი ვენეიბლზი ავარჯიშებს, რომელთანაც გესქოინს ინგლისის ნაკრებში უმუშავია.

**რუსული „ჩერნომორეცის“** თავმჯდომარემ გეორგ ანტონიანმა განაცხადა, რომ თუ უახლოეს დღეებში გუნდის დაფინანსების საკითხი არ გადაწყდება, „ჩერნომორეცი“ პრემიერლიგაში თამაშზე უარს იტყვის.

**ინგლისური** პრემიერლიგის ორ გუნდს, „ტოტენჰემსა“ და „ფულემს“ იტალიური „ინტერის“ ნახევარმცველის ლუიჯი დი ბიაჯოს გადაბირება ერთდროულად გადაუწყვეტია. ორივე გუნდის წარმომადგენელი უკვე შეეხმიანა მილანურ კლუბს, თუმცა „ინტერი“ კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტური

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 001 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 002 | ჩელსი-საუთჰემპტონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 16.00 | 003 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 16.00 | 004 | ვესტ ჰემი-ფულემი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 17.00 | 005 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,55 | 1,28 | 1,28 |
| 18.00 | 006 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 19.00 | 007 | ბირმინგემი-ევერტონი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 008 | ლივერპული-ბლექბერნი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 19.00 | 009 | სიტი-ასტონ ვილა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 010 | სანდერლენდი-ლიდსი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 20.00 | 011 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXV ტური

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 034 | ქოვენთრი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 16.00 | 035 | მილუოლი-ჯილინგემი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 16.00 | 036 | უიმბლდონი-უოტფორდი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 17.00 | 037 | ბრედფორდი-სტოკი | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 19.00 | 038 | ბარნლი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 039 | დერბი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 040 | ნორვიჩი-ბრაიტონი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 041 | ნორვიჩი-ბრაიტონი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 042 | პორტსმუთი-კრ. პალასი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 19.00 | 043 | პრესტონი-როტერჰემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 044 | უენსდი-ნოტინგემი | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 19.00 | 045 | უოლსოლი-შეფილდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 22.05 | 046 | ლესტერი-იფსვიჩი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXIII ტური

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 075 | ბრისტოლი-პლიმუთი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 16.00 | 076 | ლუტონი-კარდიფი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 16.00 | 077 | ქუინზ პარკი-უიკომბი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 17.00 | 078 | მენსფილდი-სტოკპორტი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 17.00 | 079 | ოლდემი-ბლეკპული | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 080 | ჩელტენემი-ქრიუ | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 081 | კოლჩესტერი-პიტერბრო | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 082 | ჰადერსფილდი-ტრანმერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 083 | ნორთჰემპტონი-ჩესტერფილდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 084 | ნოტსი-ბარნსლი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 085 | პორტ ვეილი-უიგანი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 19.00 | 086 | სუინდონი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXIII ტური

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 122 | ტორკი-ექსეტერი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 17.00 | 123 | კემბრიჯი-საუთენდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.00 | 124 | კარლაილი-დარლინგტონი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 17.00 | 125 | სუონსი-როვერსი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 126 | ბოსტონი-იორკი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 127 | ჰალი-ჰარტლპული | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 128 | კიდერმინსტერი-ლეიტონი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 129 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 130 | ოქსფორდი-ბორნმუთი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 131 | როჩდეილი-რექსემი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 132 | სკანთორპი-რაშდენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 133 | შრიუსბერი-ბერი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |

### იტალია. სერია "A"

**გადადებული მატჩი**

**6 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 166 | ტორინო-ატალანტა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

### იტალია. სერია "B". II ტური

**6 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 167 | ასკოლი-ვიჩენცა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 18.00 | 168 | ჯენოა-ტერნანა | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |
| 18.00 | 169 | ლეჩე-კატანია | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 170 | ლივორნო-კალიარი | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 18.00 | 171 | მესინა-სალერნიტანა | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 18.00 | 172 | ნაპოლი-ანკონა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 18.00 | 173 | ტრიესტინა-სიენა | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 18.00 | 174 | ვენეცია-ბარი | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 18.00 | 175 | ვერონა-კოზენცა | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 23.30 | 176 | პალერმო-სამპდორია | 2,5 | 2,6 | 3,0 | 1,27 | 1,36 | 1,39 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**გადადებული მატჩი.**

**2 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 199 | რეალი-სევილია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 200 | რეალი-სევილია 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 201 | რასინგი-ბილბაო | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 00.30 | 202 | დეპორტივო-სელტა | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | **5 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 203 | ბარსელონა-უელვა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 204 | ბარსელონა-უელვა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 20.00 | 205 | ოსასუნა-რაიო | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 20.00 | 206 | სოსიედადი-მალაგა | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 20.00 | 207 | სევილია-მალიორკა | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 20.00 | 208 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.00 | 209 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XVII ტური** *(continued)*

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 210 | ალავესი-ესპანიოლი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 23.30 | 211 | რეალი-ვალენსია | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XVII ტური**

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 212 | სერესი-ალმერია | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 21.30 | 213 | ელჩე-ეიბარი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 23.30 | 214 | სპორტინგი-სარაგოსა | 2,45 | 2,7 | 3,0 | 1,28 | 1,34 | 1,42 |

**5 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 215 | ლეგანესი-ხეტაფე | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 20.00 | 216 | ალბასეტე-ოვიედო | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 20.00 | 217 | სალამანკა-ფეროლი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 20.00 | 218 | ლევანტე-მურსია | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 20.00 | 219 | ლას პალმასი-ბადახოსი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 20.00 | 220 | ეხიდო-კომპოსტელა | 1,85 | 2,8 | 4,7 | 1,11 | 1,32 | 1,75 |
| 20.00 | 221 | კორდობა-ტენერიფე | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,4 |
| 20.00 | 222 | ნუმანსია-ტერასა | 2,35 | 2,8 | 3,1 | 1,27 | 1,33 | 1,47 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 223 | მონპელიე-ოსერი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |

**პორტუგალია. I ლიგა. XVI ტური**

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 224 | ბეირა მარი-გიმარაეში | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 00.10 | 225 | სეტუბალი-სპორტინგი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |

**5 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 226 | ლეირია-ბოავიშტა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.00 | 227 | აკადემიკა-ვარზიმი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 20.00 | 228 | სანტა კლარა-ფერეირა | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 20.00 | 229 | მორეირენსე-მარიტიმუ | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.00 | 230 | პორტუ-ბრაგა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 231 | პორტუ-ბრაგა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |

**6 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 232 | ნასიონალი-ბელენენსეში | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |

**პორტუგალია. II ლიგა. XVI ტური**

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 233 | მადეირა-ავეში | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 20.00 | 234 | ოვარენსე-ნავალი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 20.00 | 235 | რიუ ავე-შავეში | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.00 | 236 | მარკუ-ფარენსე | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 20.00 | 237 | ლეცა-სალგეირუში | 2,8 | 2,9 | 2,45 | 1,42 | 1,3 | 1,32 |
| 20.00 | 238 | პენაფიელი-ამადორა | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 20.00 | 239 | ფელგეირაში-მაია | 2,5 | 2,8 | 2,8 | 1,32 | 1,32 | 1,4 |

**ბელგია. II დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 250 | დენდერლეუ-ვიზეტი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |

**საბერძნეთი. XIII ტური**

**4 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 251 | პანიონიოსი-პაოკ | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 21.00 | 252 | აკრატიტოსი-ეგალეო | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |

**5 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 253 | კალითეა-ქსანთი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 17.00 | 254 | პანაპაიკი-პროდეფტიკი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 255 | ირაკლისი-იონიკოსი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 256 | ოლიმპიაკოსი-იანინა | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 257 | ოლიმპიაკოსი-იანინა 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| 21.00 | 258 | არისი-აეკ | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 21.00 | 259 | ოფი-პანათინაიკოსი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XXII ტური**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 260 | სელტიკი-პართსი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 261 | სელტიკი-პართსი 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |
| 19.00 | 262 | დანდი-აბერდინი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 263 | დანფერმლაინი-კილმარნოკი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 264 | პიბერნიანი-პარტიკი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 265 | ლივინგსტონი-დანდი იუნ. | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 266 | მოზერუელი-რეინჯერსი | 10,0 | 5,6 | 1,2 | 3,58 | 1,07 | 1 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**27 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 609 | ტრჟინეცი-ვსეტინი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 20.00 | 610 | ზლინი-ბუდეიოვიცე | 1,8 | 4,0 | 2,8 | 1,24 | 1,09 | 1,64 |
| 20.00 | 611 | პავირჟოვი-სლავია | 6,5 | 6,0 | 1,2 | 3,12 | 1,01 | 1 |
| 20.30 | 612 | პარდუბიცე-ლიბერეცი | 1,35 | 4,7 | 4,7 | 1,04 | 1,04 | 2,34 |
| 20.30 | 613 | ზნოიმო-ლიტვინოვი | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| 20.30 | 614 | პლზენი-კარლოვი ვარი | 1,65 | 4,0 | 3,2 | 1,16 | 1,08 | 1,77 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 661 | ლექსანდი-იურგორდენი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 18.00 | 662 | ფრიოლუნდა-ლინჩიოპინგი | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| 18.00 | 663 | მალმიო-პვ 71 | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 18.00 | 664 | ფერიესტადი-სიოდერტელიე | 1,35 | 4,7 | 4,7 | 1,04 | 1,04 | 2,34 |
| 18.00 | 665 | ტიმრე-ბრიუნესი | 1,55 | 4,2 | 3,5 | 1,13 | 1,07 | 1,9 |
| 18.00 | 666 | ლულეო-მოდო | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**27 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 685 | ესპოო-იუვესკიულე | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 20.30 | 686 | იოკერიტი-ლუკო | 1,35 | 4,7 | 4,7 | 1,04 | 1,04 | 2,34 |
| 20.30 | 687 | პელიკანსი-ჰელსინკი | 2,6 | 4,0 | 1,9 | 1,57 | 1,09 | 1,28 |

**28 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 688 | ჰაამენლინა-პელიკანსი | 1,3 | 5,0 | 5,3 | 1,03 | 1,04 | 2,57 |
| 19.00 | 689 | ილვესი-ტაპარა | 3,6 | 4,4 | 1,5 | 1,98 | 1,05 | 1,11 |
| 19.00 | 690 | იუვესკიულე-სეიპა | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |
| 19.00 | 691 | კერპეტი-ესპოო | 1,9 | 4,0 | 2,6 | 1,28 | 1,09 | 1,57 |
| 19.00 | 692 | ლუკო-ესეტი | 1,7 | 4,0 | 3,0 | 1,19 | 1,08 | 1,71 |

**29 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 693 | ჰელსინკი-იოკერიტი | 2,25 | 4,0 | 2,2 | 1,44 | 1,11 | 1,41 |

**ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 706 | ბელარუსი-შვეიცარია | 7,0 | 7,0 | 1,15 | 3,5 | 1 | 1 |
| 24.00 | 707 | გერმანია-ფინეთი | 7,0 | 7,0 | 1,15 | 3,5 | 1 | 1 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 708 | აშშ-რუსეთი | 2,6 | 4,0 | 1,9 | 1,57 | 1,09 | 1,28 |
| 04.00 | 709 | შვედეთი-კანადა | 4,0 | 4,4 | 1,45 | 2,09 | 1,06 | 1,09 |
| | | **27 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 710 | ჩეხეთი-გერმანია | 1,15 | 7,0 | 7,0 | 1 | 1 | 3,5 |
| 24.00 | 711 | სლოვაკეთი-ბელარუსი | 1,15 | 7,0 | 7,0 | 1 | 1 | 3,5 |

**ჰოკეი. NHL. 26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 731 | ბუფალო-ოტავა | 2,5 | 3,5 | 2,1 | 1,45 | 1,14 | 1,31 |
| 04.00 | 732 | რეინჯერსი-პიტსბურგი | 2,0 | 3,5 | 2,7 | 1,27 | 1,14 | 1,52 |
| 04.30 | 733 | დეტროიტი-კოლუმბუსი | 1,55 | 3,6 | 4,0 | 1,08 | 1,11 | 1,89 |
| 05.00 | 734 | სტ.ლუისი-კოლორადო | 2,2 | 3,5 | 2,4 | 1,35 | 1,14 | 1,42 |
| 05.00 | 735 | ნეშვილი-დალასი | 2,7 | 3,5 | 2,0 | 1,52 | 1,14 | 1,27 |
| 05.30 | 736 | ჩიკაგო-მინესოტა | 2,1 | 3,5 | 2,5 | 1,31 | 1,14 | 1,45 |
| 06.00 | 737 | ედმონტონი-ვანკუვერი | 2,3 | 3,5 | 2,3 | 1,38 | 1,15 | 1,38 |
| 07.30 | 738 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 1,85 | 3,5 | 3,0 | 1,21 | 1,14 | 1,61 |
| 07.30 | 739 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 2,2 | 3,2 | 2,6 | 1,3 | 1,19 | 1,43 |

**კალათბურთი. NBA. 26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 834 | ვაშინგტონი-დეტროიტი | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 - | 1,56 |
| 04.30 | 835 | ნიუ ორლეანი-დალასი | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| 07.00 | 836 | სიეტლი-ტორონტო | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |

**I ტაიმის შედეგი**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 2001 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,8 | 2,35 | 6,0 |
| 16.00 | 2002 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 2,0 | 2,15 | 6,0 |
| 16.00 | 2003 | ვესტ ჰემი-ფულემი | 2,7 | 2,05 | 3,5 |
| 17.00 | 2004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,6 | 2,05 | 2,6 |
| 18.00 | 2005 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 6,0 | 2,25 | 1,9 |
| 19.00 | 2006 | ბირმინგემი-ევერტონი | 3,1 | 2,05 | 3,1 |
| 19.00 | 2007 | ლივერპული-ბლექბერნი | 1,9 | 2,25 | 6,0 |
| 19.00 | 2008 | სიტი-ასტონ ვილა | 2,35 | 2,1 | 4,2 |
| 19.00 | 2009 | სანდერლენდი-ლიდსი | 3,1 | 2,05 | 3,1 |
| 20.00 | 2010 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 4,4 | 2,1 | 2,3 |
| | | **2 იანვარი** | | | |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 1,5 | 2,9 | 7,5 |
| | | **4 იანვარი** | | | |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 2,4 | 2,1 | 4,0 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 2,4 | 2,1 | 4,0 |
| | | **5 იანვარი** | | | |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 1,35 | 3,5 | 8,0 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 2,25 | 2,15 | 4,4 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 1,95 | 2,15 | 6,5 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 2,7 | 2,1 | 3,4 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2,9 | 2,1 | 3,2 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 3,1 | 2,05 | 3,1 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 2,05 | 2,15 | 5,6 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 2,2 | 2,1 | 5,0 |
| | | **6 იანვარი** | | | |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 2,45 | 2,05 | 4,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 16.00 | 2001 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.00 | 2002 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 16.00 | 2003 | ვესტ ჰემი-ფულემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 17.00 | 2004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 | 2005 | ვ.ბრომვიჩი-არსენალი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,7 | 3,2 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 19.00 | 2006 | ბირმინგემი-ევერტონი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2007 | ლივერპული-ბლექბერნი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2008 | სიტი-ასტონ ვილა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,9 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 19.00 | 2009 | სანდერლენდი-ლიდსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 20.00 | 2010 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| | | **2 იანვარი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **4 იანვარი** | | | | | | | | | |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | | **5 იანვარი** | | | | | | | | | |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 6,0 | 18,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტ. | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| | | **6 იანვარი** | | | | | | | | | |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | |
| 16.00 | 2001 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 16.00 | 2002 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 16.00 | 2003 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 17.00 | 2004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2005 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2006 | ბირმინგემი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2007 | ლივერპული-ბლექბერნი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2008 | სიტი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2009 | სანდერლენდი-ლიდსი | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2010 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 1,75 | 1,85 |
| | | **2 იანვარი** | | |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 1,8 | 1,8 |
| | | **4 იანვარი** | | |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 1,7 | 1,9 |
| | | **5 იანვარი** | | |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| | | **6 იანვარი** | | |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 1,75 | 1,85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | |
| 16.00 | 2001 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,95 | 1,65 |
| 16.00 | 2002 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1,9 | 1,7 |
| 16.00 | 2003 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 17.00 | 2004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2005 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2006 | ბირმინგემი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2007 | ლივერპული-ბლექბერნი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2008 | სიტი-ასტონ ვილა | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2009 | სანდერლენდი-ლიდსი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2010 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| | | **2 იანვარი** | | |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 2,0 | 1,6 |
| | | **4 იანვარი** | | |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 1,9 | 1,7 |
| | | **5 იანვარი** | | |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 2,1 | 1,55 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 1,9 | 1,7 |
| | | **6 იანვარი** | | |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 1,85 | 1,75 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **26 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 2001 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.00 | 2002 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.00 | 2003 | ვესტ ჰემი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 17.00 | 2004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2005 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2006 | ბირმინგემი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2007 | ლივერპული-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2008 | სიტი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2009 | სანდერლენდი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2010 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **2 იანვარი** | | | |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **4 იანვარი** | | | |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **5 იანვარი** | | | |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2037 | სევილია-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **6 იანვარი** | | | |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 26 დეკემბერი | | |
| 16.00 | 2001 | ნიუკასლ-საუთჰემპტონი | 1,35 | 3,2 |
| 16.00 | 2002 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1,5 | 2,6 |
| 16.00 | 2003 | ვესტ ჰემი-ფულემი | 1,8 | 2,0 |
| 17.00 | 2004 | ბოლტონი-ნიუკასლი | 2,0 | 1,8 |
| 18.00 | 2005 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 2,8 | 1,45 |
| 19.00 | 2006 | ბირმინგემი-ევერტონი | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 2007 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1,45 | 2,8 |
| 19.00 | 2008 | სიტი-ასტონ ვილა | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2009 | სანდერლენდი-ლიდსი | 1,9 | 1,9 |
| 20.00 | 2010 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 2,2 | 1,7 |
| | | 2 იანვარი | | |
| 24.00 | 2031 | რეალი-სევილია | 1,15 | 4,4 |
| | | 4 იანვარი | | |
| 23.30 | 2032 | რასინგი-ბილბაო | 1,7 | 2,2 |
| 00.30 | 2033 | დეპორტივო-სელტა | 1,7 | 2,2 |
| | | 5 იანვარი | | |
| 20.00 | 2034 | ბარსელონა-უელვა | 1,15 | 4,4 |
| 20.00 | 2035 | ოსასუნა-რაიო | 1,65 | 2,3 |
| 20.00 | 2036 | სოსიედადი-მალაგა | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2037 | სელტა-მალიორკა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2038 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,85 | 1,95 |
| 20.00 | 2039 | ვალიადოლიდი-ბეტისი | 1,9 | 1,9 |
| 20.00 | 2040 | ალავესი-ესპანიოლი | 1,55 | 2,5 |
| 23.30 | 2041 | რეალი-ვალენსია | 1,55 | 2,5 |
| | | 6 იანვარი | | |
| 23.30 | 2042 | ტორინო-ატალანტა | 1,7 | 2,2 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

26.12 16.00 2601 ინგლისი პლ. (XX ტური)
25 ან ნაკლები – 1,9; 27 ან მეტი – 1,9

28.12 19.00 2602 ინგლისი პლ. (XXI ტური)
25 ან ნაკლები – 1,9; 27 ან მეტი – 1,9

01.01 18.00 2603 ინგლისი პლ. (XXII ტური)
25 ან ნაკლები – 1,9; 27 ან მეტი – 1,9

04.01 23.30 2604 ესპანეთი Iდ. (XVI ტური)
25 ან ნაკლები – 1,9; 27 ან მეტი – 1,9

## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი

კროკოს უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00-21.30

კვირა 12.00-20.30

## 30 დეკემბრიდან „კროკოში" საშობაო-საახალწლო შესვენებაა, მუშაობა 8 იანვარს განახლდება

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იძევნება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაიან გიგზი წესიერი ბიჭია, მაგრამ დათვრა და როი კეროლს წაეჩხუბა

# მამლაყინწობა მანჩესტერში

„მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ საშობაო წვეულება მოაწყო, რომელზეც კლუბის ყველა ფეხბურთელი და სხვა მრავალიც სახელოვანი პიროვნება იყო მიწვეული. გვარიანმა, მღიღრულმა მოლხენამ პატარა ინციდენტის გარეშე ვერ ჩაიარა.

„იუნაიტედის" სათადარიგო მეკარემ, ჩრდილოირლანდიელმა როი კეროლმა და უელსელმა გარემარბმა რაიან გიგზმა ძველბიჭური საქმის გარჩევა მოაწყვეს და ერთმანეთისკენ გაიწიეს. თვითმხილველმა ბრიტანულ მედიას გაუმხილა, გოლკიპერი და ნახევარმცველი მამლაყინწებივით ძიძგილაობდნენ და ერთმანეთს აგინებდნენო.

დავის საგანზე ან დამნაშავის ვინაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ისე, როგორც ამბობენ, გიგზს წვეულების დღე პაბებში სიარულით დაუწყია და წვეულებაზეც შეზარხოშებული გამოცხადებულა. უელსელი, ჯერ კიდევ შუადღით, მანჩესტერის ცენტრში ერთ-ერთი ირლანდიურ პაბში შეუნიშნავთ თავის ძმაბიჭებთან ერთად, მერე ყველას ერთად დროსტარება სხვა რესტორანშიც გაუგრძელებიათ და მხოლოდ იქიდან მისულან „იუნაიტედის" წვეულებაზე.

„სერ ალექს ფერგიუსონს, ცხადია, არ ესიამოვნა, როცა გიგზისა და კეროლის ინციდენტზე შეიტყობო, თუმცა მომხდარის მიუხედავად „იუნაიტედი" ყოველთვის დარჩება მეგობრულ გუნდად" — იუწყება კლუბი.

**ნიკა ზუგლაძე**

# შთაბერე სული

## ეგებ ტრუა ნაღმა დატრიალდეს



ფარუკ ჰაჯიბეგიჩი იტალიის მუნდიალის მონაწილეა

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ცხრილს თვალს თუ გადაავლებთ და ბოლომდე ჩაყვებით, ფსკერზე დალექილ „ტრუას" შენიშნავთ. მიმდინარე სეზონში ჩატარებული 20 შეხვედრიდან ტრუელებმა ოდენ სამში გაიმარჯვეს და რა გასაკვირია, ასე დაბლა რომ არიან. ალბათ მიზეზიც დაგაინტერესებთ.

ესოდენ საჭირბოროტო შეკითხვაზე ერთი ხელის მოსმით პასუხის გაცემა ნამდვილად გაგვიჭირდება. საქმეში ღრმად ჩახედულმა „ტრუას" ხელმძღვანელობამ კი საქვეყნოდ ცნობილი პასუხი აირჩია — დამნაშავე მწვრთნელია და უნდა შევცვალოთო.

„მე მჭირდება ადამიანი, რომელიც ახალ სულს შთაბერავს ჩვენს გუნდს და ფეხბურთელების შრომის ნაყოფიერებას აამაღლებს" — განაცხადა „ტრუას" პრეზიდენტმა დანიელ ვასელემ და ჯეკი ბონევეის ადგილზე (მის გათავისუფლებაზე უკვე ვწერდით) ბოსნიელი ფარუკ ჰაჯიბეგიჩი მიიწვია.

45 წლის ჰაჯიბეგიჩმა ფეხბურთელის კარიერა ფრანგულ „სოშოსა" და ესპანურ „ბეტისში" განვლო. მოგვიანებით მწვრთნელობას მიჰყო ხელი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით 1995-1998 წლების სეზონებში „სოშო" ლიდერთაგანი იყო ფრანგულ ჩემპიონატში. გარდა ამისა, ჰაჯიბეგიჩის ანგარიშზე 65 სანაკრებო „კეპია". იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში მან 1990 წლის მუნდიალზე ითამაშა.

ჰაჯიბეგიჩის სამწვრთნელო გამოცდილება საერთაშორისო მატჩების სოლიდურ რიცხვსაც მოიცავს. 1998 წლიდან მოყოლებული, ორი წლის მანძილზე, ბოსნიის ეროვნულ გუნდს წვრთნიდა, ამ პოსტის დატოვების შემდეგ კი ერთ ხანს „ბეტისში" მუშაობდა.

„ტრუაში" ახლად დანიშნულ მწვრთნელს ბონევეის დროებით შემცვლელ სერჟ რომანოსთან მხარდამხარ მოუწევს ჭაპნის ზიდვა. ეს წყვილი ერთობლივი ძალისხმევით შეეცდება კლუბის გადარჩენასა.

**ნინო ჭადაგიშვილი**

# სალგადომ მილანისკენ გაიწია

## მუშტრის თვალით დანახული სიძე



**როგორც** კი თქვენს თბილ (თუმცა ამას ვერ დავიჩემებთ) სახლებში 2003 წელი შემოაბიჯებს, ევროპაში ზამთრის სატრანსფერო სეზონი გახურდება. საიანვროდ ბაზარზე ალბათ კვლავ ევროპულ გრანდთა მხარდ აქტიურობას უნდა ველოდოთ. მათ შორის ეგებ სერია A-ს ლიდერი „მილანიც" იყოს.

მოგეხსენებათ, „შავ-წითლებს" მარჯვენა მცველის პრობლემა აწუხებთ. ხორვატი დარიო შიმიჩი ჩვენებური მემარცხენეს, კახა კალაძის დარად რომ ვერ ირჯება თავის ფლანგზე, თვალნათელია. ჰოდა, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, საახალწლოდ გამოცდილი მცველი შეიძინოს და „მილანის" ისედაც ძლიერი დაცვის ხაზი მთლად გაუვალ კედლად აქციოს.

ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დასახული მიზნის მისაღწევად შემოდგომაზევე დაიწყო მუშაობა. მუშტრის თვალი გადაავლო ევროპაში მოთამაშე მცველებს და არჩევანი მეგობრის, ფლორენტინო პერესის გუნდის კუთვნილ მიჩელ სალგადოზე შეაჩერა.

გალიანიმ პერესთან ნიადაგი ჯერ კიდევ მანამ მოსინჯა, სანამ „რეალი" საკონტინენტთაშორისო თასს მოიპოვებდა. ბოლო ხანს კი სერიოზული მოლაპარაკებაც დაიწყო. ჰოდა, სავსებით შესაძლებელია, რომ სალგადო იანვრიდან კალაძის თანაგუნდელი გახდეს.

მართალია, „რეალის" ხელმძღვანელობას არ სურს, ერთი ყველაზე საიმედო მცველი გუნდიდან გაუშვას, მაგრამ თავად ფეხბურთელი იტალიელებისკენ იხრება. მის გადაწყვეტილებაზე იმ ფაქტმაც იმოქმედა, რომ „რეალის" მესვეურნი ერთხანს სალგადოთი „ინტერის" დავალიანების დასაფარად აპირებდნენ, რამაც მიჩელი ერთობ განარისხა. ასე რომ, „სამეფო კლუბის" სპორტული დირექტორის ხორხე ვალდანოს მცდელობა, სალგადო კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაიყოლიოს, სავარაუდოდ ფუჭად ჩაივლის. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ მიჩელ სალგადო „რეალის" ყოფილი პრეზიდენტის ლორენსო სანსის სიძეა და ფლორენტინო პერესს თავდაპირველად თვალში არ მოსდიოდა.

**ნინო ჭადაგიშვილი**

# რონალდომ ცოლი გაუშვა

**ზეიმის** მოწყობა ჩვენც შეგვიძლიაო, თქვეს არაბებმა და აბუ დაბიში, გაერთიანებულ საამიროების შეიხ ზაედის სახელობის სტადიონზე მსოფლიოს ნაკრები ტურინის „იუვენტუსს" დაუპირისპირდება.

არაბები ფეხბურთიდან აცილებენ ღვაწლმოსილ პიროვნებას, ვინმე ადნანა ალ-ტალიანის.

საამიროების ნაკრების ყოფილი კაპიტანი უბრალო კაცი არ ყოფილა. იგი ამ ქვეყნის საუკუნის ფეხბურთელად აღიარეს, ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე მეტი გოლი გაუტანია და არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრებმა 1990 წლის იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ მისი კაპიტნობით ითამაშა.

„იუვენტუსის" და მსოფლიოს ნაკრების გარდა, სხვა სტუმრებს არ იკითხავთ? თვით ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, აზიის ფეხბურთის ფედერაციის თავი მუჰამედ ალ-აბდულა, მიშელ პლატინი, ფრანც ბეკენბაუერი, საამიროების ნაკრების ყოფილი მწვრთნელები.



მილენ დომინგუში ქმარმა არაბეთს გაუშვა

მატჩზე მოხვედრის მსურველებს ბილეთებში სულ რაღაც 70-დან 137 დოლარამდე მოუწევთ გადახდა. ქომაგებს სიურპრიზიც ელით, მათ სამი ავტომანქანა და 135 ათასი დოლარის საფასურის ძვირფასი საჩუქრები ელით. ადნანა ალ-ტალიანის საპატივცემულოდ გამოუშვებენ სპეციალურ ვიდეოკასეტას, სადაც მისი საუკეთესო გოლები იქნება ჩაწერილი.

და მთავარი. ისე, როგორ იქნებოდა არაბებს მსოფლიოს ნაკრებში პლანეტის ფეხბურთელი რონალდო არ მიეწვიათ. „კიჭას" მართალია თავპატიჟი არ დაუწყია, თუმც მორიდებული უარი შეუთვალა: მე ვერ ვითამაშებ, ისე, ჩემს სანაცვლოდ თანახმა ვარ, ცოლი გამოვუშვაო. არაბებსაც ჭკუაში დაუჯდათ, მილენ დომინგუში ფეხბურთს ქმარზე არანაკლებ თამაშობს და ჩვენს შოუსაც ხიბლს შემატებსო.

ერთი სიტყვით, შოუ იქნება, მაგრამ როდის? ნაახალწლევს, 3 იანვარს.

**გიორგი ვაშაძიძე**

# გამოცანა მწვრთნელებისთვის ზევიდან თუ ქვევიდან?

**შობა-ახალი წელი** მოახლოვდა და კაცს, სპორტსმენიც რომ იყოს, შეიძლება ჭიქისკენ გაექცეს ხელი. შვებულებისას ყველაფერი დასაშვებია. ზოგი თავქაფიან კათხასაც მოხვრეპს, მერე ცისფერთვალებას ჩაეკონება და ფეხბურთს ხმამაღლა მიუკურთხებს. მით უმეტეს გერმანიაში ლუდის სმას ვერავის დაუშლი.

ჰოდა, ზოგიერთმა გერმანელმა მწვრთნელმა, ფეხბურთელებს სიამტკბილობა ძალიან რომ არ გაუგრძელდეთ, კონტროლის სუპერთანამედროვე საშუალებას მიმართა. მათ მოთამაშეებს მაჯებზე საგანგებოდ დამზადებული „საათები" შეაბეს.

ეს ჩვეულებრივი გადამცემია, რომელიც კლუბის მთავარ ოფისში დაბუდებულ კომპიუტერზე ფეხბურთელის პულსის სიხშირეს გადასცემს. ამით კომპიუტერი აღნუსხავს, მოთამაშე ხვენა-კოცნა-მტლაშა-მტლუშით და საწოლში კოტრიალით არის დაკავებული თუ პატიოსნად ისვენებს და ფორმის შენარჩუნებაზე ზრუნავს.

თუმცა გამოუვალი მდგომარეობა ხომ არ არსებობს. კარგი კაცი გამოდგა ბერლინელი ექიმი კაია ლეხლე. მან ბიჭებს საქვეყნოდ უკარნახა, რომ მაჯაზე წამოცმული 450 დოლარიანი ნივთის (სახელად „პოლარი") გაცუცურაკება არც ისე ძნელი ყოფილა. ლეხლემ თქვა: „პოლარის" გაბითურება შესაძლებელია... „მარათონული" სექსით. როცა ამ საქმითაა კაცი დაკავებული, პულსის სიხშირე წუთში 190-200 დარტყმას აღწევს. ზუსტად ასეთივე მაჩვენებელი აქვს სპრინტერსაც რბენის დროს. მაშ, იმკითხაონ მწვრთნელებმა, ფეხბურთელი დარბის თუ თავზე წამოფარებულ საბანს იშორებს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფულსადენი დაიკეტა ბატონებო!

## ფეხბურთელი უნდა ეყოს ჯამაგირს

**მსოფლიოს** განვლილი ჩემპიონატიდან მოყოლებული, საფეხბურთო სამყაროს საფულეში ქექვა და ფინანსურ სიღუხჭირეზე წერა ხშირად გვიწევს მაშინ, როცა საკუთარი ქვეყნის გაძვალტყავებული ბიუჯეტის პარამეტრების მოსმენით ყურები გვიწივის. თუმც სადაც ფულია, პრობლემაც იქ ჩნდება. ერთი კია, ვისაც ბევრი „მწვანე" აქვს ჩაკეტილი, ის უფრო მეტად დაფრთხება და აფორიაქდება.

მაგალითად გაირკვა, რომ ინგლისში ჯიბე ყველაზე უკეთ „მანჩესტერ იუნაიტედს" აქვს მოწესრიგებული. პლანეტის უმდიდრესი კლუბი ყოველწლიურად ჯამაგირებზე 70 მილიონ გირვანქას ხარჯავს, რაც შემოსავლის დაახლოებით 40 პროცენტს უკაკუნებს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ერთმა, დევიდ ბექჰემმა შარშან 15 მილიონ 500 ათასი გირვანქა (თავისი სარეკლამო დესერტებით) ჩაიჯიბა.

„ევერტონის" წამოჩიტულმა ვარსკვლავმა უეინ რუნიმ კლუბთან პროფესიული კონტრაქტი გააფორმა და, ალბათ, კვირაში 8 ათასს მიუთვლიან, მანამდე კი ოდენ 80-ს იღებდა. რუნის კარგი თამაში „ევერტონისთვის", ცხადია, სასიხარულოა, მაგრამ კარგ მობურთალს ხელფასიც სათანადო სჭირდება.

მოკლედ, თუ ბობოლებს მეტ-ნაკლებად მშვიდად სძინავთ, შედარებით ხელმოკლე გუნდები ერთთავად იმის ფიქრში არიან, სად მოიძიონ თანხები. ამჟამად ინგლისში საშუალო წლიური ხელფასის ოდენობა 500 ათასი გირვანქაა, ასი ათასით მეტი, ვიდრე შარშან იყო.

პრემიერლიგაში ხელის ჭუჭყი ასე თუ ისე ტრიალებს, ქვედა დივიზიონებში კი საქმე გაცილებით შავადაა. ქვედალიგელები განსაკუთრებით ITV DIGITAL-ის გაკოტრებამ ჩააგდო ვალებში.

არის ასეთი მომენტიც: როცა კლუბი პრემიერლიგიდან ქვევით ჩაეშვება, უმეტეს ფეხბურთელთა ჯამაგირი იგივე რჩება, შემოსავლები კი ფაფუ- თუნდაც „ლესტერი" გავიხსენოთ. სწორედ მსგავს ვითარებაში ჩავარდნილ გუნდს ბოლო ჟამს ყოფილმა ფეხბურთელებმა შეუკოწიწეს მილიონები და გაჭირვებულს ქვა ალმართიდან ააცალეს.

ეს ერთეული შემთხვევა არაა და სენი ეპიდემიად შეიძლება იქცეს. გამარჯვებულის რანგში შამპანურის წრუპვა ყველას სურს, მაგრამ ამ საქმეს ბლომად ფულიც სჭირდება.

გავიხსენოთ, რომ ხელფასების ზრდა მაშინ დაიწყო, როცა თანამგზავრულმა tim-მ გაემაფი ფულის სანაცვლოდ პრემიერლიგის მატჩების ტრანსლაციის უფლება შეიძინა. კლუბთა ბოსებიც არხეინად იყვნენ, მიღებულ თანხებს უხვად გასცემდნენ. ამას მოგვიანებით აჯანყებული ბოსმანისგან გათავისუფლებული არმიაც შეემატა და უკომპასო გემებივით მოხეტიალე ფეხბურთელები მსურველი გუნდებისგან ზღვა ფულს ითხოვდნენ. შესაბამისად, ჯამაგირის ზომა კიდევ უფრო გაიზარდა. 1997-98 წლებში პრემიერლიგის მოთამაშეთა შემოსავლები საშუალოდ 41 პროცენტით გაიზარდა, იმავდროულად კი კლუბების შემოსავლებმა მხოლოდ 25 პროცენტით იბარტყა.

ამჟამად „მანჩესტერ იუნაიტედი" ერთადერთია ინგლისში, რომელიც თავისი ბიუჯეტიდან ფეხბურთელთა ხელფასზე 50 პროცენტზე ნაკლებს ხარჯავს, სხვათა გასავალი კი 70 პროცენტს აღწევს.

მაგალითად, საბრალო „ქუინზ პარკ რეინჯერსი" იმიტომ გაება ვალებში, რომ მისი სალაროდან გასავალმა შემოსავალს ძალიან შორიდან დაუქნია ხელი, ანუ გაცილებით მეტს ხარჯავდა, ვიდრე შოულობდა. შედეგად „ქპრ" გაკოტრდა და ოდესღაც პრემიერლიგის ბინადარი ორი საფეხურით დაქვეითდა. კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ დევისმა ღედა დაიფიცა, რომ იმ დღიდან ნებისმიერ თხოვნას ჯამაგირის მომატების თაობაზე ყურიდან ყურში გაუშვებდა.

თუ ოთხი წლის წინ ფეხბურთელთა ანაზღაურება პრემიერლიგაში 41 პროცენტით გასუქდა, შარშან ამ მაჩვენებელმა 18-იც კი ვერ შეადგინა. ფულიანმა ბიძებმა ჯიბეები ამოიკერეს, რადგან გიჟურ ტემპებს ვერ გაუძლებდნენ. ერთი სიტყვით, კლუბთა ბოსები ყველანაირად ცდილობენ, მოთამაშეთა საფულეები დააპატარაონ, ხოლო მათი სურვილები შეზღუდონ.

„ნებისმიერი სახელფასო ზღვარის დაწესება ხელოვნურად შეიძლება — თქვა ერთ-ერთი საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენელმა დევიდ პულმა — მაგრამ არსებობს კანონი მოთხოვნილებისა და შესაბამისი წინადადებისა. ტელეტრანსლაციებიდან ნაღები ფული გამოილია, ამიტომ, როგორც ჩანს, ფეხბურთელებს საკუთარი ოცნებებისა და სურვილების დაოკება მოუწევთ. ასეა, ბატონებო, ფული გათავდა".

**ვაჟა ხუციშვილი**



უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს და პრეს-ატაშე მაიკ ლის ესპანელთა სურვილი სასაცილოდ არ ეყოთ

# ოქროს თასიო?

## ესპანელმა ბიზნესმენებმა ჩემპიონთა ლიგა დუელში გამოიწვიეს

**ესპანელ** ბიზნესმენთა ჯგუფმა ევროპული მასშტაბის ახალი შეჯიბრება მოიფიქრა. ეს ჯგუფი თვლის, რომ მათი პროექტი ჩემპიონთა ლიგას გაუწევს კონკურენციას და იგი 2003 წელს უნდა ამოქმედდეს. ბიზნესმენთა ჯგუფს ვინმე კარლოს გარსია პედრო ხელმძღვანელობს. პროექტის თანახმად, შეჯიბრებაში „ბებერი კონტინენტის" 16 წამყვანი კლუბი უნდა მონაწილეობდეს.

„იდეა ჩვენია, მის უკან არავინ დგას — განაცხადა გარსია პედრომ — თან, დარწმუნებული ვარ, რომ პროექტი იმუშავებს, რადგან უეფა კონკურენციას ვერ გაგვიწევს, მაგრამ ისიც მესმის, რომ კლუბებს პირველი ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდებათ".

ორგანიზატორის განცხადებით, მათ უკვე გაუგზავნეს მიწვევა ესპანეთის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ჰოლანდიის, პორტუგალიის და შოტლანდიის 26 კლუბს. შეჯიბრებისთვის უკვე სახელწოდებაც მოუფიქრებიათ: „ევროპის ოქროს თასი".

თავად შეჯიბრების სისტემა კი, ორგანიზატორთა აზრით, ასეთი უნდა იყოს: ეს იქნება ჩვეულებრივი ჩემპიონატი, რომლის მატჩებიც სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს გაიმართება (ალბათ, უეფას ჯინაზე და ჩემპიონთა ლიგის ჩასაშლელად), ყველა ყველას შინ და სტუმრად შეხვდება, გამოვლინდება ჩემპიონი, გავარდნით კი არავინ გავარდება.

გამოაცხადეს, რომ იდეა საკალათბურთო ევროლიგიდან არის აღებული და მას მხარს ორი საერთაშორისო კომპანია უჭერს, თუმცა ამ კომპანიების ვინაობა არ გამოუცხადებიათ.

მიმომხილველები ამბობენ, რომ ესპანელ ბიზნესმენთა პროექტის მიხედვით, შეჯიბრებაში მონაწილე კლუბები, ალბათ, უფრო მეტ შემოსავალს მიიღებენ, თუმცა ფაქტია, რომ ამ იდეას უეფა ძალიან დიდ წინააღმდეგობას გაუწევს. უეფას პრეს-ატაშემ, მაიკ ლიმ უკვე გააკეთა კიდეც პირველი განცხადება:

„ჩემპიონთა ლიგა, რომ უძლიერესი საკლუბო შეჯიბრებაა, საყოველთაოდ გახლავთ აღიარებული. ამასთან ჩვენ ევროპულ კლუბებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ, რათა იგი კიდევ უფრო დახვეწილი გახდეს. რაც შეეხება ესპანელ ბიზნესმენთა იდეას, რას იზამ, ოცნების უფლება ყველას აქვს".

მაიკ ლიზე უფრო კატეგორიული კი თავად ესპანეთის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი პედრო ტომასი გახლდათ:

„ეს იდეა იმდენად არარეალურია, რომ მისი განხილვაც კი არ ღირს".

**პაპუნა ძედია**



„ლევერკუზენის" მენეჯერ რაინერ კალმუნდს და ჰერტელ დიტერ ჰოინესს ზოგადევროპული სატკივარი აწუხებთ

# ვირწევით ვალში და მივდივართ...

**სრულიად** გერმანია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ ემზადება, ბუნდესლიგის ზოგიერთ კლუბს კი გაკოტრება ემუქრება. ამჟამად გერმანული გუნდების საერთო ვალი 600 მილიონ დოლარამდე დამრგვალდა და სისხლი დროზე თუ არ გადაისხეს, რეანიმაცია არ ასცდებათ.

თავად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დღესდღეობით არც ისე შთამბეჭდავია (ყველაფერი შედარებითია). ამ ფონზე თავის გადარჩენისთვის სპონსორების მოძიება იოლი არ არის, განსაკუთრებით ისედაც უქონელთათვის.

გერმანული პრესა ყოველდღიურად ბლომად გვერდს უთმობს წინასაჩემპიონატო ამბებს და არც შავ დღეში მყოფ კლუბებს ივიწყებს, რადგან ფინანსურმა კრიზისმა შეიძლება კბილი სამუნდიალო მზადებასაც გაჰკრას. ეს კი არა, შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეცგანყოფილებაც შეიქმნა, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისას წესრიგზე აგებს პასუხს. „დღეს გარკვეული პრობლემები ნამდვილად გვაწუხებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბუნდესლიგაც მომჯობინდება და 2006 წელსაც სალსალამათნი შევხვდებით" — თქვა განყოფილების ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

მომავალი მუნდიალი ზღვა ფულის წყაროა და სწორედ მისი ეიმედებათ მასპინძლებს, მილიონები ჩვენს ფეხბურთს მთლად წელში გაასწორებსო, თუმცა მანამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა დარჩენილი.

ლეო კირხის მედია-იმპერიის დაცემის შემდეგ ყველაზე მეტად მცირე და საშუალო კლუბებს გაუჭირდათ, თორემ დორტმუნდის „ბორუსიას" და მიუნხენის „ბაიერნს" კი აქვთ დალხენილი ცხოვრება. იქით მაისურებს გაასაღებენ, სტადიონებს შეავსებენ და იცოცხლე, გაგიხარია.

აქა-იქ გუნდებში პრეზიდენტებმა ფეხბურთელებს ხელფასების შემცირებაზე სიტყვა შეაპარეს, ამაზე საუბარი კი რომელ მოთამაშეს ეამება.

გერმანელი გულშემატკივრებიც ფეხბურთელთა ჯამაგირის ჩამოჭრას ითხოვენ. აი, მაგალითად, ერთმა თქვა: „მოთამაშეები ზოგ შემთხვევაში უზომოდ ბევრ ფულს იჯიბავენ, მაშინ როცა გერმანიაში ბევრს ადამიანური ყოფა ენატრება (ყველაფერი შედარებითია). ფეხბურთელებიც სხვა ადამიანებივით უნდა იყვნენ." მეორემ კი: „არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება ის ფაქტი, რომ ვიღაც ერთი მილიონობით მარკას იხვეჭს. გამოდის, რომ ამ თანხის სანაცვლოდ მან ცხრა პირი ტყავი უნდა გაიძროს მინდორზე, არადა, ხშირად ზოგიერთს სირბილიც ეზარება."

ბერლინის „ჰერტას" სპორტულმა დირექტორმა დიტერ ჰოინესმა ბრძანა, ეს მხოლოდ ჩვენი სატკივარი არაა, ხელფასების სკვერტრი მალე მთელ ევროპაში დაიწყებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**



მგზავრს სძინავს, დევიდ ბექჰემს კი ტოკიოს მეტროში გამოფენილი სარეკლამო აბრიდან ფული მისდის



სლოვენიის ვარსკვლავებში ქართველი თუა...

# ვოვა

## ბოისა მეორედ იოლსტარებს

*ჩვენს ქვეყანას არ ჰყავს იმდენი ყოჩაღი ლეგიონერი, ყოველ წელს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის „ოლ სტარში" მონაწილე ქართველით რომ მოვიწონოთ თავი. თუმც, უკვე რა ხანია, წელიწადი არ ჩაივლის ისე, ევროპის რომელიმე ჩემპიონატის „ოლ სტარში" ჩვენებური არ გამოერიოს. ამ საქმეში პირველი მერცხალი იყო ვლადიმერ სტეფანია, რომელიც „ოლიმპიაში" თამაშისას სლოვენიის ვარსკვლავებს ეთამაშა. მერე სტეფანიამ სრულიად ევროპის „ოლ სტარიც" ითამაშა და ნბა-ში გადაბარგდა. ევროპაში დარჩენილთაგან 2000 წელს ვლადიმერ ბოისამ ითამაშა „ოლ სტარი" იმავ სლოვენიაში. შემდეგ იყო ვახტანგ ნაცვლიშვილის პორტუგალიური ვარსკვლავობა და წლეულს ისევ ბოისას ჯერი დადგა — „ოლიმპიას" ლიდერთაგანი აღმოსავლეთ სლოვენიის ვარსკვლავთა ხუთეულში ჩარიცხეს. საერთოდ კი, რეგიონული პრინციპით წლეულს სლოვენიაში პირველად იმართება „ოლ სტარი"... თუმც ჯობს, ახალი ამბები თავად ბოისასგან მოვისმინოთ, რომელსაც გუშინ ლიუბლიანაში დავუკავშირდით...*

— აქამდე სლოვენიაში განსხვავებული პრინციპით ატარებდნენ „ოლ სტარს". რჩეული სლოვენიელების გუნდი საუკეთესო ლეგიონერებს ხვდებოდა. ასეთ „ოლ სტარში" მეც მითამაშია ორი წლის წინ.

**— ცვლილებამ ალბათ ლეგიონერებს უფრო ავნო...**

— რა თქმა უნდა, აქამდე რა სუსტებიც უნდა ყოფილიყვნენ, ლეგიონერებს გუნდი მაინც უნდა გამოეყვანათ, ახლა კი, როცა აღმოსავლელები დასავლელებს ეჯიბრებიან, შესაძლოა, ლეგიონერების ადგილი საერთოდ არ გამოინახოს.

**— ელოდი, რომ „ოლ სტარში" გათამაშებდნენ?**

— დარწმუნებული არ ვყოფილვარ, თუმც დიდი იმედი კი მქონდა. როცა ვამბობდი, მეეჭვება-მეთქი, თანაგუნდელები მპასუხობდნენ, ხომ არ გაგიჟდი, შენ თუ არა, აბა, ვის ათამაშებენო.

**— კანდიდატთა შერჩევა როგორ მოხდა?**

— ხუთეულები საყოველთაო გამოკითხვით შეადგინეს, სათადარიგონი კი მწვრთნელებმა დაასახელეს. გამოკითხვაში ვისაც სურდა, ის მიიღებდა მონაწილეობას. ის კი არა, თავად ეს გამოკითხვაც ერთგვარ შეჯიბრებად გადააქციეს. ხუთეულისა და კიდევ სხვა რაღაცეების გამომცნობლებს „ოლ სტარის" კანდიდატთა მაისურები ჩამოურიგეს.

**— შენი მაისურა თუ გაათამაშეს?**

— სულ სამი მოთამაშის მაისურა გათამაშდა. სლოვენიის სამი წამყვანი გუნდიდან — „ოლიმპია", „კრკა", „პივოვარნა" — თითო-თითო კალათბურთელის. „პივოვარნიდან" ერთი ზანგის მაისურა იყო, სახელი აღარ მახსოვს, „კრკადან" — სავკო დუშჩაკის, „ოლიმპიადან" კი — ჩემი. ისე, ბარემ ერთ კურიოზსაც გეტყვით, ამ გათამაშებას რომ ახლდა. ჩემი მაისურა ერგო ამ ლატარიის ერთ-ერთი ორგანიზატორის შვილს. აბა, ხალხს ვინ დაარწმუნებდა, რომ ყველაფერი სუფთად მოხდა და დამატებით ჩემი მეორე მაისურა გაათამაშეს.

**— თანაგუნდელებად ვინ გყავს?**

— რომ არა ერთი იძულებითი შეცვლა, აღმოსავლეთის ვარსკვლავების სასტარტო შემადგენლობაში მთლიანად „ოლიმპიას" ხუთეულის კალათბურთელები ვიქნებოდით. რადგან არ შეიძლება, რომ სასტარტოში ყველა მოთამაშე ერთი გუნდიდან იყოს, ოლიმპიელი ბაჟდარიჩის მაგივრად ხუთეულში სლოვანელი მატეი სლოკარი ჩაგვისვეს.

**— გუნდებს ვინ გაწვრთნის?**

— ჩვენ, რა თქმა უნდა, „ოლიმპიას" თავკაცი ტომო მაჰორიჩი, დასავლელებს კი „კრკას" მწვრთნელი ნევენ სპაჰია.

**— რამდენად პოპულარულია საოლ სტარო მატჩი სლოვენიაში?**

— შეიძლება ითქვას, უპოპულარულესი. ეს უფრო საკალათბურთო ზეიმია, იშვიათი სანახაობა, ვიდრე უბრალოდ შეხვედრა. მხოლოდ ჩვენი მატჩი კი არ გაიმართება, ითამაშებენ ასევე ბავშვთა, ჭაბუკთა, ქალთა და ვეტერანთა საუკეთესო გუნდები, მოეწყობა ჩატენვების და სამქულიან სროლათა კონკურსები. სლოვენიის ყველაზე დიდი დარბაზი, „ჰალა ტივოლი" ხვალ პირთამდე შეივსება, ბევრიც უბილეთოდ დარჩება.

**ირაკლი ბერტაია**

ALL STAR ატლანტა. ფილიპს არენა. 9 თებერვალი

# ჩინელი ჩინებულია!

## გუშინ ნაყიდი ღლაპი ხალხმა შაქს დაატაკა

*ნბა-ს მორიგი სეზონის დაწყებიდან, აგერ, ლამის ორი თვე გამოხდა, ხალხმა საქმეში ნახა თავიანთი რჩეულები და ამ თებერვალში ქალაქ ატლანტაში გასამართ ოლ-სტარ-ყეენობისთვის ქომაგები რჩეულთა შორის რჩეულებს არჩევენ*

ოდითგან ასეა, ხალხი ნბა-ს ორი კონფერენციის ხუთეულებს ასახელებს და არჩევნებიც კარგა ხანია, დაწყებულია. გამოკითხვის დასავლურ განაკვეთში ძველი ოლსტარელები ლიდერობენ. შარშანდელი ოლ სტარის გმირი ლეიკერსელი კობი ბრაიანტი ამ დღეებისთვის მოგროვილი დაახლოებით 660 ათასი ხმით მდინარე მისისიპისიქითა უკანახაზელებს თავში უდგას. გამოკითხვის დამთავრებამდე ორ კვირაზე მეტი დროა დარჩენილი, აქედანვე თამამად ითქმის, მას დასავლეთის ვარსკვლავ-ხუთეულში ადგილი დაბევებული აქვს. უკანახაზელებში 416 ათასი ხმით კობის მოსდევს „ჰიუსტონის" გამთამაშებელი სტივ ფრენსისი. დასავლელ ფორვარდებში 493 და 474 ათასი ხმა უგროვდებათ შესაბამისად სანანტონიოელ ტიმ დანკანსა და მინესოტელ კევინ გარნეტს. ცენტრებში კი 480 ხმით კობი ბრაიანტის ზორბა თანაგუნდელი შაკილ ონილი ლიდერობს. ერთი სიტყვით, თუ ამ ხუთიდან რომელიმეს მუხთალი ტრავმა არ აიკიდა, დასავლეთს წინა ოლ სტარის ასლი ხუთეული ეყოლება. თუმც იქნებ სასწაული მოხდეს და შაკილ ონილს დამწყებ გუნდში ჩაენაცვლოს 226-სანტიმეტრიანი ჩინელი საოცრება „ჰიუსტონისთვის" მოლვაწე იაო მინგი. ჩინელი სულ ორი თვეა, ნბა-შია და დახეთ, რა უცებ მოუპოვებია პოპულარობა. ის მხოლოდ ათიოდ ათასი ხმით ჩამორჩება ფართამშუსხრელ შაკს. სხვათა შორის, ეს სიტუაცია 1993 წლისას მოგვაგონებს — მაშინ ახალბედა შაკილმა აღმოსავლეთის ხუთეულში ადგილი წაართვა გოროზ ნიუიორკელ პატრიკ იუინგს.

აღმოსავლეთის ვარსკვლავთგუნდი ალბათ ტრადიციულად ნაკლებად ზორბა ბიჭებით წარდგება 9 თებერვალს ატლანტაში. ეს ბოლო წლებია, აღმოსავლელებს მაღალი ბიჭები უჭირთ, მას შემდეგ, რაც შაკილ ონილი „ორლანდოდან" „ლეიკერსში" გადავიდა, ზოლო იუინგმა თამაშს თავი დაანება, აქაურებს ერთი კაცის, მაიამელი ალონზო მურნინგის თუ ეიმედებოდათ, მაგრამ „ზო" ავადმყოფი თირკმელის გამო მინიმუმ ერთი წლით წავიდა შვებულებაში და ახლა აღმოსავლელები დეტროიტელ ბენ ვოლესსლა შეჰყურებენ. აღმოსავლეთი ალბათ ვერ იამაყებს ამ 206-სანტიმეტრიანი მუშა ბიჭით, რომელმაც დაცვაში თამაში იცის, მაგრამ ბურთის ჩაგდება არ ეხერხება, ოლ სტარში კი დაცვას აბა, რა ესაქმება.

აღმოსავლეთს კარგი ფორვარდები ჰყავს — ვინს კარტერი (ტორონტო, 600 ათასი ხმა) და გრანტ ჰილი (ორლანდო, 420 ათასი ხმა), მაგრამ ისინი უფრო მოძრავი ბიჭები, დიდი უკანახაზელები არიან და ფარქვეშ 213-სანტიმეტრიან დანკანსა და 211-სანტიმეტრიან გარნეტს დაეჩაგვრინებიან.

სავარაუდოდ, აღმოსავლეთს შარშანდელი უკანა ხაზი ეყოლება (ტრეისი მაკგრეიდი, ორლანდო, 580 ათასი ხმა; ალენ აივერსონი, ფილადელფია, 510 ათასი ხმა). 440 ხმით უკანახაზელებში მესამეა მხცოვანი მაიკლ ჯორდანი, ვისაც ოლ სტარის დღეებში 40 წელი შეუსრულდება. იგი ალბათ ვერ მოხვდება სასტარტო ხუთეულში, მაგრამ აუცილებლად დასახელდება აღმოსავლეთის სათადარიგოთა შორის. ყველა ვარსკვლავის შეკრება ვერ იქნება ყველა ვარსკვლავისა, თუკი ამ ზეიმს ვარსკვლავთა შორის უკაშკაშესი დააკლდება. მაიკლ ჯორდანი ოლ სტარის სამგზის უძვირფასესი მოთამაშეა.

**კოტე ყოჩშია**





აი, ეგრე კი გამოვიდა: კნაჭა იაო მინგი ვეება შაქილ ონილს გიეჭაჩა

# ცქიტიშვილი და სავოვიჩი საშობაო შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ

**თამაშებით** გაძეძგილ ნბა-ს კალენდარში 24 დეკემბერი უქმე დღეა, თითქმის უქმეა 25 დეკემბერიც — ქრისტიანული სამყაროს მეტი წილი ქრისტეშობას აღნიშნავს. ფაციფუცობს კათოლიკე თუ პროტესტანტი, ყველა მოზეიმეს თავისი გეგმა აქვს და არც კალათბურთელები არიან გამონაკლისი. შობას აღნიშნავენ დენვერული „ნაგიტსის" კალათბურთელებიც, ოღონდ 25 დეკემბერს მოზეიმეთა შორის არ არიან „დენვერის" მართლმადიდებელი მოთამაშეები, ქართველი ნიკა ცქიტიშვილი და ჩერნოგორიელი პრედრაგ სავოვიჩი.

ესენი დღეს არც სანტა კლაუსად შეიმოსებიან და, ცხადია, არც ეკლესიაში წავლენ. ეს ორი დენვერელი კალათბურთელი სადღესასწაულო რიტუალებისგან თავისუფალია და იმაზელა თუ ფიქრობს, 7 იანვარს, მართლმადიდებლურ შობას, როგორმე მალე დაიძვრინოს კლუბიდან თავი.

— ჩვენში შობა 7 იანვარსაა, 25 დეკემბერი კი რიგითი კალენდარული დღეა. ამიტომაც არ დამიგეგმავს, სად წავალ და რას გავაკეთებ — ამბობს სავოვიჩი.

აი, მართლმადიდებლურ შობას როგორ გაატარებენ „დენვერის" ქართველი და იუგოსლაველი, ეს მათ ზუსტად იციან. ნიკა ცქიტიშვილი დედასთან, ქალბატონ გულიკოსთან და ძმასთან, გიორგისთან ერთად დენვერში მცხოვრებ ორიოდ ქართველს ესტუმრება და ალბათ საცივსაც დააგემოვნებს. სავოვიჩი კი მამას ელის იუგოსლავიიდან და შობის დღეს მასთან ერთად გაატარებს.

სხვა დენვერელებიდან კი დონიელ ჰარვისა და როდნი ვაიტის საშობაო გეგმებია ცნობილი. ფორვარდი ჰარვი მშობლიურ ჯორჯიის შტატში ისანტაკლაუსებს და ციცქნა ქალაქ კატბერტის პატარებს საკუთარი ფულით ნაყიდი საჩუქრებით გაახარებს. ვაიტი კი ოჯახთან იქნება და საღამოს 7 საათზე ერთ დენვერულ ეკლესიაში მივა, სადაც, ჰარვისა არ იყოს, სადღესასწაულო საჩუქრებს ჩამოარიგებს.

„მსურს, ისევე გავახარო პატარები, როგორც ბავშვობაში თავად მიხაროდა შობის დღესასწაული. ამ დღეს მოწყენის უფლება არავის აქვს" — ამბობს როდნი ვაიტი.

7 იანვრის მომლოდინე ცქიტიშვილმა და სავოვიჩმა კი იქნებ მოიწყინონ კიდეც. მათ ირგვლივ ხალხი იზეიმებს...



ამერიკაში ნიკა და დედამისი შობას 7 იანვრამდე დაელოდებიან

**ირაკლი ბერტაია**

# დღევის კრივის კვანტისტრიალი



ლენოქს ლუისი

*რახან ამ დღეებში დიდად სასიხარულო ამბავი მოხდა და ქართველმა მოკრივემ, გიორგი კანდელაკმა პეტერბურგის რინგზე 12 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით აჯობა რუს ვასილიევს, რითაც მოიპოვა კავშირის (WBU)მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონის ქამარი, უინტერესო არ იქნება, რომ ზოგადად მიმოვიხილოთ რაობა მძიმე წონის ქამრების.*

*რედაქციაში ხშირად რეკავენ გიორგის წარმატებით გახარებული გულშემატკივრები და მილოცვებს უთვლიან ქართველ ჩემპიონს. თუმცა ამასთან ერთად გაკვირვებითაც გვეკითხებიან, თუ გიორგი ჩემპიონია, მაშინ ვინლაა ლენოქს ლუისიო. ამგვარი გაურკვევლობა გამოწვეულია იმით, რომ მკითხველთა უმეტესობა ეგრეც ვერ გარკვეულა დღევანდელ მსოფლიო კრივში და ასე ჰგონია, რომ კრივის მსოფლიო ჩემპიონობა იგივეა, რაც, ვთქვათ, ფეხბურთის, ან ფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონობა, ოფიციალურად გახდი და ყველამ გაღიარა*

*კრივში ამ მხრივ დემოკრატიაა. ისტორიულად, თუ სპორტების უმეტესობას ჰყავს ერთი მმართველი ორგანო, კრივს ასეთი მრავალი მოეძევება. ყოველი საკრივო დანესებულება კი თავის საჩემპიონო ქამრებს ათამაშებს რაგინდარა წონაში.*

*რახან ჩვენთვის დღეს აქტუალურია მძიმე წონა, რომელიც ისედაც ყველაზე პრესტიჟული და მდიდარი გახლავთ, საკრივო საქმეები უფრო ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ*

**ბარე ოცი წელიწადი** იქნება, რაც მომძლავრებულია სამი საკრივო დაწესებულება. ანუ უწინდელ, გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ალი-ფრეზერ-ფორმენ-სპინქსებ-ჰოლმს-ტაისონის დროიდან ერთ პრესტიჟულ ქამარს გვერდში ამოუდგა კიდევ ორი. 90-იანი წლებიდან ხომ ყოველთვის პრობლემა იყო გამაერთიანებელი ბრძოლის გამართვა, ანუ მსოფლიოს უდავო ჩემპიონის გამოვლენა.

ეს სამი ვეშაპი კი არის საბჭო (WBC), ასოციაცია (WBA) და ფედერაცია (IBF). ანუ, მძიმე წონაში ამათი ქამრისთვის ბრძოლა ნიშნავს ნამდვილ ჩემპიონობას, თუმცა, ხშირად არ ნიშნავს ნამდვილ სიძლიერეს. ამ სამს წამოეშველა მეოთხეც, ორგანიზაცია (WBO), რომელიც ასევე ღონიერი საკრივო სახლია, თუმცაღა, ჯერჯერობით მაინც ვერ უტოლდება იმ სამს. ორგანიზაცია ოდნავ სხვა წესებით მოქმედებს და ესეც რომ არ იყოს, იგი გულზე არ ეხატებათ არც იმ სამს და არც ამერიკელ საკრივო პრომოუტერებს. ხოლო, თუ ამერიკაში გულზე არ ეხატებათ, მძიმე წონის ამბავში ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო მაყურებელს ვერასოდეს მოხვდები თვალში, შენით ბევრი ფული ვერ მოიხვეტება და ამიტომ არაფრად ღირხარ. თუმცაღა, ორგანიზაციის ჩემპიონი უნდა იყო მართლა ვარსკვლავი მოკრივე, რათა ამერიკაში მიაღწიო იმ სამიდან რომელიმეს ტიტულისთვის ბრძოლას. ანუ, ამ სამი დაწესებულების რეიტინგებში ამაღლდე პირველ ნომრამდე, რათა ჩემპიონს დაუპირისპირდე. ორგანიზაციის ქამრითაა შეჭურვილი ახლა ვლადიმირ კლიჩკო, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს ამერიკაში და მართლაც რომ აშკარად მიიწევს დიდი ორთაბრძოლისკენ.

დიდი ორთაბრძოლა კი გახლავთ დღევანდელი კრივის ნამდვილი საზომი და არა ქამრები.

აბა, დაუკვირდით, რა ვითარებაა სამი მოწინავე დაწესებულების მძიმე წონაში:

ახალი საუკუნის დასაწყისისთვის ბრიტი ლენოქს ლუისი იყო ის კაცი, რომელმაც ევანდერ ჰოლიფილდთან ბრძოლაში გააერთიანა სამი ქამარი და ოფიციალურად შეიქნა მსოფლიოს უდავო ჩემპიონი. მაგრამ იქავე ლუისს კვანტი გამოუჩნდა. პრომოუტერმა დონ კინგმა მისი კონტრაქტის უხერხული მუხლი გამოიყენა და რახან ჩემპიონს გარკვეულ ვადაში ევალება ტიტულის დაცვა, მოსთხოვა, რომ ასოციაციის ქამარი ცალკე ბრძოლაში დაეცვა პრეტენდენტ ჯონ რუისთან. ლუისმა ცალკე ერთი ქამრის დაცვა იუარა, რუისი კი პრეტენდენტი იყო მხოლოდ ასოციაციის რეიტინგში და სხვა ქამრებისთვის ვერ შეეტოქებოდა ლუისს. სასამართლომ ლუისს ქამარი აართვა და კინგმა მისთვის რუისი და ჰოლიფილდი ორჯერ აკრივა. ასე რომ, ახლაკ ასოციაციის ჩემპიონი ჯონ რუისია. წლეულს ლუისმა დათმო შერჩენილი ორი ქამრიდან კიდევ ერთი, ფედერაციისა, რადგან ამ დაწესებულების პრეტენდენტ, მანამდე კი ორგანიზაციის ჩემპიონ კრის ბერდთან ჩხუბის აზრი ვერ დაინახა, ბერდი ეკრივა კვლავ ჰოლიფილდს, რომელიც მეორე იყო ფედერაციის რეიტინგში და გახდა ჩემპიონი.

ლუისს დარჩა მხოლოდ საბჭოს ქამარი. ახლა ვითარება ისეთია, რომ მსოფლიოს ნამდვილი, დიდ ბრძოლებში გამოცდილი ჩემპიონი სამია. ოღონდ კი, რეალურად ყველაზე ძლიერი, ანუ ნამდვილი ჩემპიონი გახლავთ ლუისი, რადგან ყველამ იცის, რომ ის უძლიერესია და თუკი გინდა, რომ დაამტკიცო შენი პირველობა მძიმე წონაში, ლუისთან უნდა გამოიცადო.

ლუისმა რომ მესამე ქამარიც დათმოს და უტიტულოდ დარჩეს ერთი ხნით, შენი პირველობა მაინც მასთან უნდა დაამტკიცო. რეალურად, ლუისის შემდეგ ახლა ყველაზე ძლიერია ვლადიმირ კლიჩკო, რომელიც ორგანიზაციის ჩემპიონია, მაგრამ არც საბჭოში (WBC), არც ფედერაციაში (IBF) და არც ასოციაციაში (WBA) მას არა აქვს ისეთი რეიტინგი, რომ ამათი ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. ორგანიზაციის ქამრისთვის მას დაჯაბნილი ჰყავს ფედერაციის აწინდელი ჩემპიონი ბერდი, რომელმაც თავის მხრივ მის ძმას, ვიტალის აართვა ორგანიზაციისავე ქამარი. ვლადიმირ კლიჩკო მონაცემებით სჯობს ჯონ რუისსაც, მაგრამ, ვთქვათ, საბჭოს რეიტინგებში მის ძმას ვიტალის უჭირავს პრეტენდენტის ადგილი და ლუისთან ჩხუბი შეუძლია.

რეიტინგები გახლავთ კიდევ ერთი საიდუმლო დღევანდელი დიდი კრივისა და მათი შედგენის არსს კაცი გარედან ვერ ჩასწვდება. ნამდვილი საკრივო წარმატება მძიმე წონის კაცმა ამერიკაში, ორ ამერიკულ ტელეკომპანიას „ეიჩბიოუს" და „შოუთაიმის" ახლოში უნდა ეძებოს. ტელევიზია, ფული, პრომოუტერის ჭკუა თუ არ დაემატა იმას, რომ დიადი მოკრივე ხარ, მსოფლიოს ნამდვილ, უდავო ჩემპიონობაზე ოცნება სისულელეა.

სამი მოწინავე დაწესებულების სარეიტინგო სიები რომ ნახოთ, დაინახავთ, მძიმე წონის მთავარი ძალა ამერიკელები გახლავან. კრივის საშუალო დონე იქ მეტად მაღალია. ამ სამ დაწესებულებას, რომელთა შტაბბინები სულაც არ არის აუცილებელი, ამერიკაში იყოს, მრავალი მცირე ტოტი და ტიტული გააჩნია. ამ ტიტულებით კმაყოფილდებიან სწორედ საშუალო ან აღმა მიმავალი მოკრივენი, რომელთაც წინსვლისთვის რაიმე ქამარი სჭირდებათ. ვთქვათ, ასეთია ინტერკონტინენტალის ტიტული. ანდა არიან ძველი მოკრივენი, რომელთაც უბრალო ქამრები უნდათ გულის გასახარად.

ჩამოთვლილი სამი დიდი და მეოთხე მათ მიდევნებული დაწესებულების კვალად, არსებობს მომცრო და უფრო ღარიბი საკრივო დაწესებულებიც. ვთქვათ: WBF, IBA, IBO, NABF, WBU და სხვანი. ამათ არ ძალუძთ, რომ ყოველ საკრივო წონაში გამოავლინონ თავიანთი ჩემპიონები, თუმცა კი ბრძოლების გვარიან ოდენობას კი მართავენ კრივისთვის იაფ ადგილებში და თავიანთი ქამრებიც აქვთ.

სწორედ ამათგან ერთ-ერთში, WBU-ში, მოკლედ, კავშირში შეიქნა მსოფლიო ჩემპიონი გიორგი კანდელაკი, რომელიც თავისი რეიტინგით შესულია ორგანიზაციის მეთხუთმეტე კაცად, ხოლო ვლადიმირ კლიჩკოს რომ საჩემპიონოდ ეკრივო ამ ორგანიზაციისავე ტიტულისთვის, უნდა იყო რეიტინგში პირველი, ანუ პრეტენდენტი. ეს არის რამდენიმე სარეიტინგო ბრძოლის საკითხი, რომელთაგან ბოლო ორი მაინც კარგ მოკრივესთან უნდა გაიმართოს და უნდა მოიგო.

კავშირი 90-იან წლებშია დაფუძნებული ბრიტანეთში, კემბრიჯშირში და 1995 წლიდან გამართა რვა საჩემპიონო ბრძოლა მძიმე წონაში. ამათგან ყველაზე ცნობილი იყო პირველი, ლას ვეგასში, სადაც 48 წლის ჯორჯ ფორმენმა ქულებით მოუგო გერმანელ აქსელ შულცს, საერთო აზრით კი, გაილახა. ბრძოლისადმი ინტერესს მთლიანად განაპირობებდა ფორმენის სახელი. მეორე ბრძოლაში ფორმენმა ტოკიოში გამართა შოუ მავან გრიმზლის წინააღმდეგ, რომელიც უფრო მოჭიდავედ იყო ცნობილი და „ქამარი შეინარჩუნა". მერე კავშირის მძიმე წონის „ტიტულმა" სამხრეთ აფრიკაში გადაინაცვლა და ლამის სამ წელიწადს ჩემპიონად ჰყავდა მავანი სანდერსი, სანამ ეს უკანასკნელი ჰასიმ რაჰმანმა არ დასცა ატლანტიკ სიტის ერთ-ერთ ანდერქარდში. რაჰმანს ეს ქამარი არარაფერში სჭირდებოდა, რადგან საჭირო რეიტინგში ისედაც წაეხმარა და კარგი ბრძოლების წყალობით ლენოქს ლუისზეც გავიდა და ერთი მოხდენილი დარტყმით წააქცია კიდეც, თუმც, მატჩრევანშში ეს ძვირად დაუჯდა და სასტიკად გაილახა.

რაჰმანის შემდეგ კავშირის ჩემპიონობა გათამაშდა ორჯერ და ორჯერვე ამ რუსის, ვასილიევის მონაწილეობით: შარშან მან წააგო ბრიტანელ ნელსონთან, წლეულს — ჩვენებურ კანდელაკთან.



ვლადიმირ კლიჩკო

ასეთი გახლავს საერთო სურათი და დიდ ბრძოლაში მისვლა რომ არანაკლებ დიდი თავგადასავალია, ნამდვილად ჩანს.

ვუსურვოთ გიორგი კანდელაკს წარმატება ამ გზაზე. თავად ის რომ ყველაფერს გააკეთებს აღმასვლისთვის, საეჭვო არ არის. მენეჯერიც ბრწყინვალე ჰყავს, ფრენკ მელოუნი, რომელმაც იცის საკრივო მარიფათი და ყველა ხვრელები ამ საქმეში. რა არის, რომ მელოუნი ბრიტია და თუმც ზაფხულში უთქვამს, კანდელაკის სახით მეორე ლუისი უნდა ამოქმედდესო, ამერიკისკენ თუ გაიხედავს, ათმაგი მოქნილობა და უნარი მართებს. ისევე, როგორც გაასკეცებული ჯანი და ხასიათის სიმტკიცე თავად გიორგის.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



გიორგი კანდელაკი

| WBC | WBA | IBF | WBO |
|---|---|---|---|
| ლენოქს ლუისი | ჯონ რუისი | კრის ბერდი | ვლადიმირ კლიჩკო |
| 1 ვიტალი კლიჩკო | 1 ევანდერ ჰოლიფილდი | 1 პრეტენდენტი არ ჰყავს | 1 დავიდ ტუა |
| 2 ევანდერ ჰოლიფილდი | 2 ვიტალი კლიჩკო | 2 ევანდერ ჰოლიფილდი | 2 ლამონ რუსტესი |
| 3 ჰასიმ რაჰმანი | 3 დავიდ ტუა | 3 დავიდ ტუა | 3 კლიფორდ ეტიენი |
| 4 მაიკ ტაისონი | 4 ჰასიმ რაჰმანი | 4 ჰასიმ რაჰმანი | 4 ფრანსუა ბოთა |
| 5 დავიდ ტუა | 5 მაიკ ტაისონი | 5 ჯამილ მაკლინი | 5 დენი უილიამსი |
| 6 ჯამილ მაკლინი | 6 კრის ბერდი | 6 ვიტალი კლიჩკო | 6 ხუან კარლოს გომესი |
| 7 კრის ბერდი | 7 ჯამილ მაკლაინი | 7 ფრეს ოკენდო | 7 ჯამილ მაკლაინი |
| 8 ხუან კარლოს გომესი | 8 კირკ ჯონსონი | 8 კლიფორდ ეტიენი | 8 კირკ ჯონსონი |
| 9 დენი უილიამსი | 9 ფრეს ოკენდო | 9 კირკ ჯონსონი | 9 ლუ სავარესე |
| 10 ფრეს ოკენდო | 10 ფარუქ სალემი | 10 ლუ სავარესე | 10 ფრეს ოკენდო |
| 11 კლიფორდ ეტიენი | 11 ლამონ რუსტესი | 11 ტომი მარტინი | 11 ჰასიმ რაჰმანი |
| 12 ტომი მარტინი | 12 ნიკოლაი ვალუევი | 12 ტიმ ვიზერსპუნი | 12 ლანს ვაიტეკერი |
| 13 ჯო მოსი | 13 ჯო მოსი | 13 მაიკ ტაისონი | 13 ატილა ლევინი |
| 14 ლუ სავარესე | 14 ლარი დონალდი | 14 ჩარლზ შეფორდი | 14 ტომი მარტინი |
| 15 ჯერემი უილიამსი | 15 დენი უილიამსი | 15 ჯორჯ არიასი | 15 გიორგი კანდელაკი |

# შეცნაშრი სიმბოლო
## მანქანამ უილკინსონს მერსერონი არჩია

1. ტომ სმიტი (შოტლანდია)
2. გორდონ ბალოკი (შოტლანდია)
3. პიტერ დე ვილერი (საფრანგეთი)
4. კრის ჯეკი (ახალი ზელანდია)
5. ბენ კეი (ინგლისი)
6. ლუის მუდი (ინგლისი)
8. სკოტ რობერტსონი (ახალი ზელანდია)
7. ჯო ვან ნაიკერკი (სამხრეთ აფრიკა)
10. ჟერალ მერსერონი (საფრანგეთი)
9. ფაბიენ გალტიე (საფრანგეთი)
11. ბენ კოენი (ინგლისი)
12. უილ გრინვუდი (ინგლისი)
13. ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია)
14. დაგ ჰოულეტი (ახალი ზელანდია)
15. ჯეისონ რობინსონი (ინგლისი)

**ციურიხის** სარეიტინგო კანტორამ წლის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. „მსოფლიო 2002“ — ასე ეწოდება ნაკრებს, რომელშიც ხუთი ინგლისელი, სამი ახალზელანდიელი, სამი ფრანგი, ორი შოტლანდიელი, თითო ირლანდიელი და სამხრეთაფრიკელი მორაგბეა.

შერჩევა ასე მოხდა: ყველა კანდიდატის (ასეთი კი 50 მორაგბე იყო) თამაში დეტალურად გაარჩიეს ვიდეოფირზე და მისი პოზიციის გათვალისწინებით დაურიცხეს ქულები. ყურადღება გამახვილდა მოთამაშის ინდივიდუალიზმზე და საგანგებო კომპიუტერული პროგრამის მიხედვით გამოითვალეს მორაგბის მარგი ქმედების კოეფიციენტი.

საბოლოოდ შეირჩა ის თხუთმეტი კაცი, ვინც შეადგინა კიდეც წლის მსოფლიოს ნაკრები.

რაც უნდა პარადოქსული იყოს, რჩეულებში ვერ მოხვდა წლევანდელი ტესტ-მატჩების ვარსკვლავი და ინგლისელთა უპირველესი მქოლე ჯონი უილკინსონი, რომელსაც ფრანგთა ქჩალმა მე-10 ნომერმა ჟერალ მერსერონმა აჯობა. ლევან ცაბაძის თანაგუნდელი შარშანაც მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. მაშინ ჟერალმა ახალზელანდიელ ენდრიუ მერთენს გაასწრო.

რჩეულთაგან ყველაზე მეტი ქულა ახალზელანდიელთა გარემარბმა დაგ ჰოულეტმა დააგროვა. მას მოუწონეს სისწრაფე, პასი, დრიბლინგი, გამძლეობა და დაცვაში კარგი თამაში. ჰოულეტის შემდეგ ყველაზე სასარგებლო მორაგბედ ინგლისელი მოიერიშე ბენ კოენი მიიჩნიეს, მან ყველა საშემოდგომო ტესტ-მატჩში გაიტანა ლელო.

წლის ნაკრებში პირველად მოხვდნენ შოტლანდიელი მორკინალები — ტომ სმიტი და გორდონ ბალოკი.

საგულისხმო ფაქტი — სიმბოლურ ნაკრებში ერთი ავსტრალიელიც კი არ შეიყვანეს. ასეთი რამ 1995 წლის შემდეგ არ მომხდარა. მსოფლიოს ჩემპიონთაგან რჩეულებში მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი შერკინების გამთამაშებელ ჯორჯ გრეგანს ჰქონდა, მაგრამ მას ფრანგთა კაპიტანმა, ჩია მე-9 ნომერმა ფაბიენ გალტიემ აჯობა და ნახევარდაცვაში თანამემამულე მერსერონს შეუწყვილდა.



ჟერალ მერსერონი



წლის საუკეთესო ლელო ბენ კოენისა იყო

*რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) და პოპულარულმა სარაგბო საიტმა „პლანეტ რაგბიმ“ წლის 10 საუკეთესო ლელო შეარჩიეს. ლელოები წლევანდელი ორი უმთავრესი შეჯიბრიდან — სამი ერი, ექვსი ერი და ტესტ-მატჩებიდან შეირჩა. თავიდან საგანგებო ჟიურის ყველა დიდ სანაკრებო და საკლუბო ტურნირებში გასული ლელოები უნდა განეხილა, მაგრამ სირთულის გამო გადაიფიქრა და ასარჩევად მხოლოდ ექვსი ერი, სამი ერი და ტესტ-მატჩები დატოვა*

# ათი ლელო ათასიდან

### 1 ბენ კოენი (ინგლისი)
**ინგლისი 45:11 ირლანდია**

თვიქნემი. 16 თებერვალი

ინგლისელთა მარცხენაფლანგელის ბენ კოენის მიერ ირლანდიელებისთვის გატანილი ორი ლელოდან პირველი წლის ლელო გახდა და ცნობილ პოპმომღერალ არქელის არანკლებ ცნობილი სიმღერის სახელით მოინათლა — „ტყვერა, შემიძლია გავფრინდე“. ლელო კი ასე გავიდა: ინგლისელებმა თავიანთ ნახევარზე მოიპოვეს ბურთი, რიჩარდ ჰილის, ჯეისონ რობინსონის და კირან ბრაქენის სამსვლიანი მაიკ ტინდალმა განაგრძო და ლელოსთან შებოჭილმა ბურთი აუგდო რიჩარდ ჰილს. ჰილმა ჯო უორლს მისცა პასი, მან კი სიჩქარეაკრეფილ ბენ კოენს გაატანა ბურთი. კოენი ჩიტივით შეფრინდა ირლანდიელთა ლელოში.

### 2 ტანა უმაგა (ახალი ზელანდია)
**საფრანგეთი 20:20 ახალი ზელანდია**

„სტად დე ფრანს“. 16 ნოემბერი

ახალზელანდიელებმა აუტი მოიგეს ფრანგთა ლელოსთან ახლოს. ბურთი „ოლ ბლექსის“ კულულებიან შუამარბ ტანა უმაგას მოუვიდა. უმაგას წინ ფრანგთა ოთხკაციანი დაცვა აღიმართა, მაგრამ ტანამ სისწრაფისა და ძალის წყალობით გაანგრია ფრანგთა „კედელი“ და მეტოქის ლელოში შეცურდა.

### 3 ბენ თიუნი (ავსტრალია)
**ავსტრალია 38:27 სამხრეთ აფრიკა**

ბრისბენი. 27 ივლისი

მატჩამდე თითქმის ყველა ავსტრალიური არხი ბენ თიუნის დოპინგ-სკანდალში გახვევის ამბავს იტყობინებოდა. ნამატჩევს კი მისი ლელო დაატრიალეს რამდენჯერმე და დოპინგის ამბავი აღარავის გახსენებია. ლელო კი ასე გავიდა: მატჩის მე-4 წუთზე ავსტრალიელთა მარჯვენა ფრთამ მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი და მეტოქის ლელომდე ექვს სამხრეთაფრიკელს ჩაუდრიბლინგა.

### 4 ჟერალ მერსერონი (საფრანგეთი)
**საფრანგეთი 20:15 ინგლისი**

„სტად დე ფრანს“. 2 მარტი

ეს იყო ექვსი ერის გადამწყვეტი ჯახი. მერსერონის ლელო „მამლების“ კაპიტნის ფაბიენ გალტიეს დამსახურებაა. გალტიემ მოედნის ცენტრში ზურგსუკან მიაწოდა იმანოლ ჰარინორდოკს, რითაც ინგლისელთა დაცვის ხაზი მოაღორა. ინგლისელებმა ჰარინორდოკი ლელოსთან ახლოს შებოჭეს, მაგრამ წაქცეულმა მერსერონს აუგდო ბურთი და ჟერალმაც მეტოქის ბოლო მცველ ოსტინ ჰილს მოხდენილად ჩაურბინა.

### 5 ვერნერ ხრეეფი (სამხრეთ აფრიკა)
**სამხრეთ აფრიკა 33:31 ავსტრალია**

იოჰანესბურგი. 17 აგვისტო

მატჩის დასრულებას წამებიღა აკლდა. სამხრეთ აფრიკა 26:31 აგებდა, როცა თბილისში ნათამაშებმა იოანეს კონრადმა მეტოქის 22-მეტრიან ხაზთან მზაკვრული პასი მისცა ხრეეფს. ვერნერმა გზად რამდენიმე ავსტრალიელს აუარა გვერდი და ანგარიში გაათანაბრა. ხრეეფმავე ლელოც გარდასახა და წლევანდელ სამ ერზე თავისიანებს ერთადერთი გამარჯვება მოუპოვა.

### 6 მეტ როჯერსი (ავსტრალია)
**ავსტრალია 16:14 ახალი ზელანდია**

„სთედიუმ ავსტრალია“. 3 აგვისტო

მსაჯის დამატებულ ბოლო წუთზე ავსტრალიელმა მეთიუ ბერკმა ჯარიმა გაიტანა და სამი ერის მატჩში თავისიანებს მოაგებინა, ორიოდ წუთით ადრე კი ავსტრალია 8:14 აგებდა. ანგარიშში სხვაობა ფანტასტიკური ლელოთი მეტ როჯერსმა შეამცირა.

სტეფან ლარკემმა დაკიდებული ბურთი მოიხელთა და ჯაჯგურ-ჯაჯგურით „ოლ ბლექსის“ ლელოს ხაზამდე იარა. ზედახორაში ჯორჯ გრეგანმა ბრძოლაში მოიპოვა ბურთი და უკან მიაწოდა როჯერსს, რომელმაც ორი ახალზელანდიელი გადათელა და ბურთი ნახტომით დასცა მიწაზე.

### 7 ჯონი უილკინსონი (ინგლისი)
**ინგლისი 31:28 ახალი ზელანდია**

თვიქნემი. 9 ნოემბერი

უილკინსონის ფანტასტიური თამაშის და დარტყმების წყალობით ინგლისმა მოიგო. ჯონიმ კი ულამაზესი ლელო გაიტანა. ეს მეორე ტაიმში მოხდა. უილკინსონმა მეტოქის ნახევარზე ასეთი მანევრი ჩაატარა: ისე მოიქცა, თითქოს არეკნს ურტყამდა, მაგრამ მოულოდნელად ბურთი გაიგდო, თავადვე მიჰყვა და ხელში აღებისას ახალზელანდიელ მცველიც გააბითურა.

### 8 რის უილიამსი (უელსი)
**უელსი 27:22 შოტლანდია**

კარდიფი. 6 აპრილი

ექვსი ერის მატჩის მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ჯასტინ ჰარისმა ბურთის პირველად მოხელთებისთანავე სამი შოტლანდიელი გადათელა და სანამ შებოჭავდნენ, შეტევაში სიღრმიდან ჩართულ გოლიათ რის უილიამს იმგვარად აუგდო ბურთი, რომ ორი შოტლანდიელი სახტად დატოვა, უილიამსი კი სალელოდ გააქცია.

### 9 ორელინ რუჟე (საფრანგეთი)
**ავსტრალია 31:25 საფრანგეთი**

„სთედიუმ ავსტრალია“. 29 ივნისი

ფრანგთა გარემარბ ორელინ რუჟეს მეორე ლელო ძალიან ლამაზი კი გამოდგა, მაგრამ მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა. ლელო ასე გავიდა: ავსტრალიელთა ნახევარზე ფრანგთა ცენტრმა და ლევან ცაბაძის თანაგუნდელმა ოლივიე ბრუზემ ეშმაკურად მისცა პასი თავის სეხნია მანეს. იგი ავსტრალიელთა დაცვაში შეიჭრა და იქ კრის ლატამს შეასკდა. გაიმართა ზედახორა. იქიდან უმისამართოთ გამოვარდნილ ბურთს რუჟე დაეუფლა და დრიბლინგით მეტოქის ლელოსკენ მოკურცხლა.

### 10 გორდონ მერფი (ირლანდია)
**ირლანდია 54:10 უელსი**

„ლენსდაუნ როუდი“. 3 თებერვალი

ირლანდიელთა მოიერიშემ ამ მატჩში ორი ლელო გაიტანა. მერფის მეორე ლელო განსაკუთრებული გამოდგა. ირლანდიელთა უკანახაზელებმა — პიტერ კლოჰესიმ და ჯონ ჰეისმა შუამარბის პოზიციიდან შეუტიეს მეტოქეს, კლოჰესიმ დიდებულად ჩაუკიდა კევინ მაგს, რომელიც უელსელთა დაცვას ეძგერა და იქ შებოჭეს, მაგრამ დროულად მოასწრო ბურთთან განშორება და მარჯვენა ფრთაზე გაქცეული მერფი უელსელთა ბოლო მცველს შეატოვა. მერფიმაც ცრუ მოძრაობით ჩამოიტოვა მეტოქე და ზეალმართული ხელებით სალელოვე მოედანში შევარდა.

**ბაჩო სვანიძე**



ტანა უმაგამ სილამაზით მეორე ლელო გაიტანა

# ევროპა მოუპარავთ, ზედ აფრიკა და ამერიკაც მიუყოლებიათ

**საჭრეთლით** შეიარაღებულმა თბილისელმა მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძემ დღე და ღამე გაასწორა, რათა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინის ფასადი ოლიმპიური სტენდით დაემშვენებინა. მერე ვიღაც ჩაქუჩითა და სატეხით შეიარაღებული ქურდბაცაცა ღამით მივიდა და მოქანდაკის მიერ „გამოძერწილი“ ხუთი ოლიმპიური რგოლიდან ერთ-ერთი, ავსტრალიის აღმნიშვნელი მოიპარა. მაშინ ვიფიქრეთ, რომ ის უცნობი ავსტრალიის მიმართ მწყრალად იყო განწყობილი, რადგან მან მხოლოდ მწვანე კონტინენტის რგოლი მოიპარა, რასაც „სარბიელში“ დასტამბული სეოკ-ის აღშფოთებული განცხადება მოჰყვა.

ეტყობა, ის უცნობი მხოლოდ ავსტრალიაზე არ ყოფილა მოძღურებული, რადგან წუხელ სტენდიდან ბევრი კონტინენტიც გაქრა, აზიაც და აფრიკაც.

რომ ვთქვათ, იმ გაჭირვებულმა ნაქურდალი — სპილენძის რგოლები გაყიდა, რათა დამშეულ ოჯახს როგორმე შეხიდებოდა, არ ვიქნებით მართალი, რადგან მასში 10 ლარამდე თუ გამეტებდა ვინმე. სავარაუდოდ ეს ხულიგნობას უფრო ჰგავს. მით უმეტეს, რომ ქურდს მარმარილოს სტენდი სალებავითაც მოუთხაპნია, თანაც ავისმქნელს სპორტშიც რაღაც უნდა გაუგებოდეს, რადგან მან კარგად იცის, ვინ არის გიორგი ასანიძე, ყოველ შემთხვევაში, მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის აღმნიშვნელ რგოლში მისი სახელი ჩაუწერია.

ახლა ჯერი პოლიციაზეა, რათა რგოლების მოყვარულს ხელებზე ორი რგოლი დაადოს.



# ბადენ ბადენში

გერმანიის განთქმულ საკურორტო ქალაქ ბადენ ბადენში ამ საშობაოდ გერმანიის ტრადიციული, სპორტული გალა-ყვენობა გაიმართა. აქ მოიყარა თავი გერმანიის სპორტულმა ნაღებმა და სპორტისავე მამებმა. აი, რუდი ფიოლერს ხელს არ უშვებდა გერმანიის ფეხბურთის თავკაცი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი. მოცურავე ფრანცისკა ვან ალმზიკმა და ტრამპლინიდან მხტომელმა სვენ ჰანავალდმა კი წლის ლაურეატთა ბაფთები დაიმსახურეს.



# წყალთაკლაუსი

ეს ამერიკის დედაქალაქი ვაშინგტონია. მდინარე პოტომაკის წყალზე მოთხილამურე სანტა კლაუსი უკვე მეჩვიდმეტე წელიწადია, ასე ეჩვენება იქაურებს.





# ქვიშიდან

ასეა, როცა ბურთი ქვიშაში გადავორდება და იქიდან უნდა ამოჰკრა. მევოლფე ფილ მიკელსონი, პარტნიორ დევიდ ტომასთან ერთად რაიდერის თასისთვის ბრძოლაში ჩაბმულა ევროპელთა წინააღმდეგ. ძველი ფოტოა და ამ საშობაოდ იერის გამო თუ გამოაჩინეს სააგენტოებმა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge